140
1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა





# პიონერი

9

1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეკენ მთელ საქართველოში წკრიალა სკოლის ზარები



კონსტანტინე ილურიძე

დიდი დღესასწაულია დღეს ჩვენს სამშობლოში. საზეიმოდ დაირეკა საპირველსექტემბრო ზარი. ასიათასობით გოგონა და ბიჭუნა მიუჯდა მერხებს, დაიწყო სწავლითა და შრომით აღსავსე ახალი სასწავლო წელი.

ჩვენს ქვეყანაში ყველა პირობაა შექმნილი, რათა თქვენ ღრმა და საფუძვლიან ცოდნას დაეუფლოთ. ყველა პროფესია ერთნაირად საპატიოა. მე, როგორც მუშა, გულით მივესალმები მათ, ვინც სკოლისა თუ სხვა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სახელოვან მუშათა კლასს შეუერთდება და ბეჯითი შრომით ქვეყნის კეთილდღეობისათვის იბრძოლებს.

გულითა და სულით გილოცავთ, ჩემო ძვირფასებო, სწავლის დაწყებას. გაიხარეთ და გაგვახარეთ თქვენი კარგი სწავლითა და მაღალი მოქალაქეობრივი თვისებებით, რათა მომავალში თქვენი ცოდნა და უნარი მშობლიური ქვეყნის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობას მოახმაროთ.

კონსტანტინე ილურიძე,

თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მჭედელი, სოციალისტური შრომის გმირი.



მხატვარი თ. ფხიკიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი წვლილი
სასურსათო პროგრამის
განხორციელებაში

ნუგზარ აფხაზავა



ნარუჯელ პიონერებს მოსკოველი სტუმრებიც ამოუდგნენ მხარში. მალე მოპირთავდება გოდორი. გულიანად შრომობენ ლედი და ანგელინა, ვეფხვია და იური.

# გულის კარნახით

მახარაძის რაიონი, საქართველოს ეს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე, ზღვის სანაპიროდან მაღალ მწვერვალებამდეა გაშლილი. თვალს ახარებს ვენახები, სიმინდის ყანები, ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციები, ანკარა მდინარეები, ცივი წყაროები, მწვანეში ჩაფლული კოპწია სოფლები... მაგრამ რაიონის მთავარი სილამაზე მისი მშრომელი ადამიანები არიან — მარჯვენადალოცვილი მეჩაიეები, მეციტრუსენი, მევენახეები, მესიმინდეები, მეცხოველეები... მათ არაერთხელ უსახელებიათ თავი, მიმდინარე წელსაც — სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლის პირველ წელს — სანაქებოდ ირჯებიან და რაოდენ სასიხარულოა, რომ უფროსებს მხარში უდგანან ნორჩი თანაშემწეები, წითელყელსახვევიანი პიონერები, რომელთაც საგრძნობი წვლილი შეაქვთ მახარაძელ მშრომელთა გამარჯვებებში.

რაიონის ყოველი სკოლის პიონერულ რაზმეულში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შრომითი ჩვევების აღზრდას. რა თქმა უნდა, მთავარია ამ ჩვევათა გამომუშავება, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, მოზარდთა თითოსაათიანი შრომის შედეგიც ანგარიშგასაწევი აღმოჩნდა. ამის თვალსაჩინო მაგალითად კომკავშირის რაიკომის მდივანმა მანანა ბიწაძემ ნარუჯის საშუალო სკოლის შრომითი რაზმი დაგვისახელა. რაზმის ას ოცმა პიონერმა პირველიდან 25 ივნისამდე ნარუჯის ჩაის მეურნეობაში 26.257 მანეთის სამუშაო შეასრულა და 7522 მანეთი გამოიმუშავა. ერთ თვეზე ნაკლებ დროში ნორჩებმა 35 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. დიახ, ხარისხოვანი — რაიკომის მდივანმა ხაზი გაუსვა ამ სიტყვას. — მახარაძელი პიონერები მხარს უჭერენ ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ ყუფუნიას მოწოდებას — დაუბრუნდეს ქართულ ჩაის ადრინდელი დიდება, აღდგეს მისი ძველი პრესტიჟი!

რაიონში 6218 პიონერია და თუ წარმოვიდგენთ, რომ მათი უიდი უმეტესობა ნარუჯელებივით გაისარჯა, ადვილი გასათვალისწინებელი იქნება ის წვლილი, რაზედაც ზევით ვილაპარაკეთ.

მახარაძის რაიონი უმთავრესად



ვასილ კვაჭანტირაძეს გაუჭირდა სავსე გოდრის აწევა და აკაკი გობუაძემ წამოუკრა ხელი.

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
გამოდის 1926 წლიდან
პიონერი
9 სექტემბერი 1982
საქ. კკ ცკ-ის გამომცემლობა

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლ. ბიბლიოთეკა



მარინა დოლიძემ, გურიანთის საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელმა გოგონამ, ივნისის დასაწყისიდან პირველ სექტემბრამდე ორ ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

მეჩაიეობის რაიონია და პიონერებიც ძირითადად ჩაის პლანტაციებში შრომობენ. ორბეთის რვაწლიანი სკოლის პიონერ-მეჩაიეთა რგოლმა 0,5 ჰექტარი პლანტაცია გაიპიროვნა და 5 ტონა ჩაი მოიწია — ჭეშმარიტად ივაჟკაცეს დავით რუსიძემ, კობა ფაცაციამ, დარეჯან ქველიძემ და მათმა ამხანაგებმა. არც ციხისფერდელებს შეურცხვენიათ თავი — 5 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ლელა ჭეფხოძემ თუ გელა ჭეიშვილმა, დურმიშხან ტატურიშვილმა თუ გია ქავთარაძემ, მარიკა მარგალიტაძემ თუ ალექსანდრე მუჯირმა...

დიდ, მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ ნორჩ პიონერთა პაწია ხელები. ზოგჯერ გიკვირს კიდეც, როგორ აღწევენო ასეთ შედეგებს. გურიანთელ პიონერთა მაგალითს დაგისახელებთ: მეშვიდეკლასელმა მანანა დოლიძემ ივნისის დასაწყისიდან 15 ივლისამდე 1500 კგ ფოთოლი მოკრიფა („სკოლაში მეცადინეობის განახლებამდე 500 კილოგრამზე მეტს კიდევ მოვკრეფო", — განაცხადა მანანამ), მეექვსეკლასელებმა ვასილ კვაჭანტირაძემ და აკაკი გოგუაძემ — შესაბამისად 800 და 500 კგ, მეხუთეკლასელებმა დილარ კვაჭანტირაძემ, ლელა ინასარიძემ და მაია დოლიძემ — 500, 300 და 200, მეოთხეკლასელებმა ნათელა ბერიძემ და ნატო კვაჭანტირაძემ — ხუთასხუთასი კილოგრამი.

ასევე გულიანად შრომობენ მახარაძელი, ჯუმათელი, ასკანელი, შრომელი, შეკვეთილელი, იანეთელი, ნატანებელი და სხვა პიონერები.

პიონერულ ბანაკებში უწინდებურად მოქმედებს შრომითი საათი.

— ბავშვებს შეხსენებაც აღარ სჭირდებათ, — გვიამბო სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის ურეკის პიონერული ბანაკის უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ანა თევდორაძემ, — ვერ ისვენებენ, ვიდრე საქმეს მივუჩენდეთ. დროდადრო ურეკის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში მივდივართ და სარეველებისაგან ვასუფთავებთ, ძირს ვუთოხნით მანდარინის ხეებს. ბანაკის ტერიტორიაზე და მის ახლომახლოც არ ვაჭაჭანებთ სარეველებს. აქტიური შრომით თავი გამოიჩინეს მანანა თოიძემ, ნატო ტულუშმა, მანანა თალაკვაძემ, ლელა ვადაჭკორიამ, ლადო სანიკიძემ, ნატო თევდორაძემ და სხვებმა...

როგორც გითხარით, მახარაძის რაიონში ჩაი უმთავრესი კულტურაა, მაგრამ პიონერები მხოლოდ მეჩაიეობით როდი იფარგლებიან.

ჩვენს წინაშეა ასეთი განცხადება: „ჩვენ, ლიხაურის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეები მაია გობრონიძე, ირმა გორგოშიძე, ირმა ვადაჭკორია, დარეჯან ღლონტი, შორენა ვასაძე, ქეთინო ხალუქვაძე, კახა ღვინჯილია რაზმის სახელით ვალდებულებას ვიღებთ, საკ. ალკკ რა-



ლიმონისა და მანდარინის ხეებსაც სჭირდება შემოთოხნა. უამისოდ ნაყოფი უგემური იქნება.

გებში შესვლასთან დაკავშირებით აქტიური მონაწილეობა მივილოთ სასურსათო პროგრამის განხორციელებაში“.

აი, რა გვიამბო ამ განცხადებასთან დაკავშირებით № 1 რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ ირმა გორგოშიძემ:

— გადავწყვიტეთ, დრომდე მტკიცედ შეგვენახა ჩვენი საიდუმლო. მივედით კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან, ავუხსენით, რომ ჩვენ, № 1 რაზმის თექვსმეტმა პიონერმა, გადავწყვიტეთ ოჯახში წაგვეყვანა, გამოგვეზარდა და მერე სახელმწიფოსთვის ჩაგვებარებინა თითო ბურვაკი. თავმჯდომარე დაგვეთანხმა. სკოლის დირექცია გაახარა ჩვენმა ინიციატივამ, მშობლებმაც მოგვიწონეს და მხარდაჭერა აღგვითქვეს...

ჰოდა, წაიყვანეს პიონერებმა თითო გოჭი, მოვლა დაუწყეს, საკვებს არ აკლებდნენ, ბანდნენ, ასუფთავებდნენ. და ერთ დილით სკოლაში მისულმა მაია გობრონიძემ მეგობრებს ახარა, ჩემმა გოჭმა უკვე ერთი კილოგრამი მოიმატაო. არც გულისა ვასაძე, ნინო ცეცხლაძე, გოჩა გოგოძე, ზაზა გაგუა, იამზე მემარნიშვილი და სხვები აკლებენ ზრუნვას თავიანთ აღსაზრდელებს.

დვაბზუს საშუალო სკოლის პიონერებმა კი ივალდებულეს, XI ხუთწლედში სახელმწიფოს გამოუზარდონ 36 გოჭი, 410 ქათამი, 74 იხვი, 35 ინდაური, 24 კურდღელი, 2 ოჯახი ფუტკარი, 3 ხბო, 130 მტრედი. და ეჭვი არავის ეპარება, რომ მაია თოხაძე, ნინო ღლონტი, მანანა მალაზონია, მაკა თოიძე, ვახტანგ კალანდაძე, რამაზ მალაზონია, ნანა ონიანი, ცირუ ღლონტი და მათი მეგობრები პირნათლად შეასრულებენ ვალდებულებას, ის კი არა, გადააჭარბებენ კიდეც.

კარგ მაგალითს იძლევა ბახვის საშუალო სკოლის მე-4 რაზმი, რომელმაც სასკოლო ნაკვეთში მარწყვის პლანტაცია გააშენა, აგრეთვე იკისრა, მარტო მან შეასრულოს „შავი საბადოს“ სასკოლო გეგმა — შეაგროვოს 1400 კგ ჯართი.

ბაილეთელმა პიონერებმა ჩამოაყალიბეს რაზმი „პიონერული ფერმა“, გაიპიროვნეს თითო ხბო და თვალისჩინივით უვლიან მათ; რაზმის მუშაობას ხელმძღვანელობს შტაბი — ლეონიდე ვოიტოვი, ხვიჩა ჩხარტიშვილი, როზა სირაძე, ქონდერი ჩხარტიშვილი, ნატო დარჩია, მზია კვერღელაძე. ანალოგიური რაზმი ჩამოყალიბდა სოფელ მახარაძეშიც, აქ მის მუშაობას ლელა ვადაჭკორია, გია თავდუმაძე, თამარ თავბერიძე, ნონა როყვა და ვეფხვია ანთიძე მეთაურობენ.

როცა გურიანთის საშუალო სკოლაში მივედით, იქ სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა. ეზოში შრომით გართული ბავშვები დავინახეთ. თურმე პიონერხელმძღვანელი ავად გახდომოდათ, მაგრამ ნორჩებს თვითონ გადაეწყვიტათ მშენებლებისათვის ხელის წაშველება. სამაგიეროდ, ზემონატანების საშუალო სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელ ლიანა ლომინაძეს და დირექტორს იაკობ ბოლქვაძეს პიონერებთან ერთად ციტრუსების სასკოლო პლანტაციაში მივაგენით. უნდა გენახათ, რა მონდომებით და საქმის ცოდნით შრომობდნენ იამზე და ნანა მორჩილაძეები, ვანო ბოლქვაძე, კახა ღლონტი, იაგორ ჩხატარაშვილი... საინტერესო სურათს წავაწყდით ნარუჯის ჩაის პლანტაციებში — აქ მხარდამხარ შრომობდნენ ნარუჯელი პიონერები და მათი სტუმრები, მოსკოველი თანატოლები — იური ბურჭულაძე, ვეფხვია კეჭაყმაძე, ლედი კეჭაყმაძე, ვერონიკა ჰაიდუკოვა, ირინა ანისიმოვა, ანგელინა კალმიკოვა...

დიახ, ყველგან, სადაც კი გზამ მიგვიყვანა, პიონერული შრომითი ენთუზიაზმი, რაღაც სასარგებლოს — თუნდაც მცირედის — გაკეთების სურვილი დაგვიხვდა. ნორჩები უხმაუროდ, აურზაურის გარეშე საქმიანობენ, იგრძნობა, რომ მათ არა თავის გამოჩენის სურვილი, არამედ შინაგანი მოთხოვნილება, გულის კარნახი ამოქმედებთ. ამიტომაც აქვს მათ ნაშრომსა და ნამოღვაწევს განუზომელი ფასი, ამიტომაც ეფინება სახეზე მოწონების ღიმილი უფროსებს, როცა გულიან შრომაში გართულ გოგო-ბიჭებს შეხედავენ ხოლმე.

ფოტო თ. ცაგარელისა

## ჩვენო მამულო, სასიქადულოვ!

ლია ასათიანი

კავკასიონის
        მაღალი შუბლით,
მტკვრის და ალაზნის
        ორლესულ შუბით
შენ ჩვენთანა ხარ,
        ჩვენო მამულო,
საყვარელო და სასიქადულოვ!
დროით უხსოვარს
        და სულ უბერებს,
დოვლათით ივსებ
        მშობლის უბეებს,
რომ დაგვაპუროს უხვად,
        მამულო,
საყვარელო და სასიქადულოვ!
ჩვენც შენს მადლიან
        ბარაქას ვბაძავთ
და გვსურს ვივარგოთ
        ქალად თუ კაცად,
რომ გამრჯედ გედგეთ
        მხარში, მამულო,
საყვარელო და სასიქადულოვ!
აი, ეს მკლავი და
        ეს მარჯვენა,
დე, დაგილოცონ
        ჩვენი გაჩენა,
რომ გასახელოთ
        ყველგან, მამულო,
საყვარელო და სასიქადულოვ!
ვნვდებოდეთ წიაღს,
        ვიპყრობდეთ კოსმოსს,
რომ აზრთა სრბოლა
        ვერავინ მოსპოს,
დიდების ძეგლად
        გვექმენ, მამულო,
საყვარელო და სასიქადულოვ!
ფიცი არ რჩება
        ლიტონ სიტყვებად,
ყველა შენი ძე
        ფერხულს მიჰყვება
სადღეისოს და
        საკაცობრიოს.
არაერთხელ გცნო
        მთელმა მსოფლიომ,
როგორც მშობელი
        სასიქადულო
ღირსეულ შვილთა,
        ჩვენო მამულო!



ეროვნული ბიბლიოთეკა



**ვახტანგ გოგოლაშვილი**

მხატვარი ჯემალ ლოლუა

მოთხრობა

პავლემ ალიოშას ქართულიდან ერთადერთი სიტყვა „მარიაკი“ გაიგო მხოლოდ. მიხვდა, რაც უპასუხა მან მეგობარს, გაიღიმა და თქვა:

— ომამდე ზეინკალი ვიყავი. ტულის იარაღების ქარხანაში ვმუშაობდი.

— ზეინკალი?!

— ჰო, ზეინკალი. რატომ გაგიკვირდათ? — იკითხა პავლემ.

— ჩვენც ზეინკლები ვართ, — თავისი დამტვრეული რუსული ჩაურთო ალიოშამ, მერე შერცხვა და ზურიკოს მუჯლუგუნი უთავაზა. — უთხარი, ბიჭო, ნამდვილი ზეინკლები კი არა, ზეინკლობას ვსწავლობთ-თქო.

ზურიკომ თარგმნა. პავლეს არც გაღიმებია, დაწვრილებით გამოჰკითხა ბავშვებს ყველაფერი. დაჰპირდა, სასწავლებელში შემოგივლით, დეპოშიც გინახულებთო. ჰოსპიტალშიც მიიპატიჟა. კარგა ხანს იდგნენ ურიცკისა და რუსთაველის ქუჩების გასაყართან. ტოლებივით საუბრობდნენ.

— ახლა უნდა წავიდე, თორემ მთავარი ექიმი ტყავს გამაძრობს, — პავლემ სათითაოდ ჩამოართვა ხელი ბავშვებს და ჰოსპიტლისკენ გასწია.

ყმაწვილები იდგნენ და სიყვარულით მისჩერებოდნენ მაღალ, მხარბეჭიან მეზღვაურს.

## თავი მეოთხე

კვირა დღე იყო, აპრილის ბოლო დღე. პირველი მ[ა]სის მოლოდინში ქალაქი საზეიმოდ ირთვებოდა. დიდი ქეიფისა და დღესასწაულების ხასიათი ვისა ჰქონდა, მაგრამ რაც შეეძლოთ, ისე ემზადებოდნენ. ქალები ეზოებს გვიდნენ, ნაზამთრალი ნეშო გამოჰქონდათ და პირდაპირ ქუჩაში წვავდნენ. თეთრი ბინტებით დაწებილ სარკმლის მინებზე ახლადგარეცხილი ქათქათა ფარდები ჩამოეფარებინათ.

მზადება იყო თეთრი იასამნის ქუჩის ხუთ ნომერშიც. აქ ცხოვრობდა თეონა ნებიერიძე, დედასთან, ექიმ-თერაპევტ ნუნუ ნებიერიძესთან ერთად. ნუნუ ომამდე ბავშვთა საავადმყოფოს მთავარი ექიმი იყო; მერე ჰოსპიტალში გადაიყვანეს. მართალია, იქაც თერაპიულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა, მაგრამ, თუ გაჭირდებოდა, ოპერაციასაც აკეთებდა. თეონას მამა ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე გაიწვიეს ჯარში. ჯერ ციმბირში იყო, ბაიკალზე. წერილებსაც ხშირად ილებდნენ. აგერ ორივე თვეა, ბაიბურიც არ ისმის მისგან.

ეზოში პატარა სახლი იდგა, ძველებური, ხისა, ყავრით გადახურული. სულ ერთი სართული იყო. ირგვლივ ახალშეკეთებული თეთრი აივანი ჰქონდა შემოვლებული. ამ ერთი ბეწო სახლში სამი ოჯახი ცხოვრობდა. დედა-შვილს — ნუნუსა და თეონას ორი პატარა ოთახი ეჭირათ და ერთიც სამზარეულო, ისეთი მოცუცქნული, რომ იტყვიან, თაგვი ფეხს მოიტეხსო.

სახლის მარცხენა ნაწილი ორად იყო გაყოფილი. წინა, მოზრდილ ოთახში შემნახველი სალაროს მოლარეინკასატორი ბაბუცა ცქიფურიშვილი ცხოვრობდა. გაუთხოვარი ქალი იყო ბაბუცა, ტანმორჩილი, გამხდარი, ნაყვავილარი.

სახლის უკანა მხარეზე ნებიერიძეების სამზარეულოსხელა ოთახი იყო მიშენებული, თუ შეიძლებოდა საერთოდ ოთახი რქმეოდა ამ ერთ მტკაველა სოროს! აქ სვანი სტუდენტი ჯუნისი ხაჭვანი ცხოვრობდა. კაი მოსუ-



გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ბიჭი გახლდათ. მაგრამ ფილტვების სისუსტის გამო ჯარში არ გაიწვიეს. თავის მოცუცქნულ ოთახში (თუმცა რა თავისი, ბაბუცასაგან ჰქონდა ნაქირავები) ჯუნისის ერთი გასაშლელი საწოლი ედგა. საწოლქვეშ ორი ჩემოდანი იდო. ერთი მათგანი ტანსაცმლის შესანახი კარადის მოვალეობას ასრულებდა, მეორე — ბუფეტისას. დილით, ლოგინიდან ჩამოუსვლელად გამოაძვრენდა ჯუნისი საწოლქვეშიდან „ბუფეტს", ამოიღებდა შავი პურის ნაჭერს, სვანეთიდან ჩამოტანილ სულუგუნს და დანაყრდებოდა. მერე „ტანსაცმლის კარადას" გამოაცოცებდა, მუხლებზე გამობერილ შარვალს და იდაყვებზე გაცვეთილ კოსტიუმს ამოიღებდა, იქვე დაფერთხავდა, ჩაიცვამდა, იატაკზე მიმობნეულ წიგნებსა და რვეულებში იმ დღისათვის საჭიროს აარჩევდა და გაუტევდა ინსტიტუტისაკენ.

იმ დღეს, როგორც უკვე მოგახსენეთ, კვირა იყო, 30 აპრილი. მთელი ეზო სახლში იყო თავმოყრილი და საქმიანობდა. ნუნუს იატაკი მოეხეხა და სანთლით აპრიალებდა. დედის საქმიანობისათვის რომ ხელი არ შეეშალა, ეზოში გამოსულ თეონას ალიონისფრად აბრიალებული იასამნების ჩრდილში სკამები ჩამოეტანა, ზედ სტუმრად მოსული ზურიკო და ალიოშა დაესვა, თვითონ მწვანედ აბიბინებულ მდელოზე ბოლთას სცემდა, გაცხარებით იქნევდა ხელებს და ამბობდა:

— თავის გამართლება არ შეიძლება. მართალია, ამ ბოლო ხანს მუშაობის საქმე მოგვარდა, განსაკუთრებით ალიოშას კარგად გამოსდის პირველი თლა, მაგრამ ჩვენთვის მთავარი მაინც სწავლაა. რა გახდა, ბოლოს და ბოლოს, ეს ალგებრა. უკვე მეორე ორიანი მიიღე გუშინ. ეტყობა, მუშაობა გიშლის ხელს. თუ გინდა, ვთხოვ ლადო მასწავლებელს ბრიგადიდან გამოგიყვანოს.

ალიოშა ყურებამდე გაწითლდა. ზურიკოს ცხვირის წვეტი დაულურჯდა. ყოველთვის ასე ემართებოდა, როცა რაიმეზე გაბრაზდებოდა ხოლმე. ფეხზე წამოხტა და აჯაჯლანდა:

— რა შუაშია ბრიგადა და მუშაობა. კურსებში სად ჰქონდა ბრიგადა და დაზგები, ორიანებით რომ იყო ამოჭედილი?!

ალიოშა კიდევ უფრო გაწითლდა და ჩაიბუზღუნა:

— ამოჭედილი არა, მარა ალგებრაში მართლა მყავდა ორიანები. რას იზამ, ყველას ტვინი ერთნაირი არ არის. ეტყობა, ჩემი ტვინი ისეა მოწყობილი, რომ ვერ ეთვისება ალგებრას.

— შეიძლება მართლა მასე იყოს, — თავის კანტურით დაეთანხმა ზურიკო.

მაგრამ თეონამ ისევ შეუტია:

— მორჩით ახლა, ნუ სულელობთ რაღაცას. საშუალო სკოლის პროგრამა ისეა შედგენილი, რომ ყველას ტვინის შესაძლებლობას ითვალისწინებს. სად გინახავთ თქვენ, კაცს მოენდომებინოს და საშუალო სკოლა ვერ დაემთავრებინოს? დღეიდანვე შევუდგებით მეცადინეობას. დაამთავრებს დედაჩემი სანთლის წასმას და დავსხდებით სამეცადინოდ.

ეზოში ჯუნისი გამოვიდა. ფეხის წვერებზე აიწია, გრძელი ცხვირი წეროსავით გაჰყო ბაბუცას [illegible] აბუხუნდა:

— პა, პა, პა, პა... რა სურნელება ტრიალებს. შემირცხვენია ახლა ამასთან მე იასამნისა და ჩაის ვარდის სუნი.

ბაბუცას, როცა დათბებოდა, აივანზე გამოჰქონდა ხოლმე ნავთქურა და იქ იმზადებდა სადილ-ვახშამს.

— ოი, ჩასკდი, უშენოდ ხომ კაცი ლუკმას ვერ შეჭამს! — გამოეპასუხა ბაბუცა. და სწორედ ამ დროს საოცარი ამბავი მოხდა.

ჰაერში თვითმფრინავის წუილი გაისმა. ომის დროს თვითმფრინავის ხმა ვის გაუკვირდებოდა, მაგრამ ეს რაღაც განსხვავებული ხმა იყო. ოთხივენი ქუჩაში გავიდნენ და ცას შეხედეს. მალე მთელი ქუჩა გაივსო. ყველას შუბლი ხელით მოეჩრდილა და ცას გაჰყურებდა. ჭომისაკენ, სწორედ რიონჰესის თავზე, უცნაური წუილით ტრიალებდა შავი, ფრთებწაწვეტებული თვითმფრინავი. ჯერ დაბლა მდგომი მზე უშლიდათ, მაგრამ როცა თვითმფრინავი ცალ ფრთაზე აყირავდა, ყველამ დაინახა ვერცხლისფერ კუდზე გამოსახული შავი ჯვარი.

— გერმანელებისაა, — აყვირდა ყველა ერთად. მაგრამ ამ დროს ქუთაისელებისთვის კიდევ ერთი საოცრება მოხდა და წამით ყველა დაამუნჯა. ცალ ფრთაზე აყირავებულ თვითმფრინავს რაღაც გამოეყო, თანდათან უმატა სიჩქარეს და სადღაც ჯაჭვის ხიდის გადაღმა, რაჭის გზის ტევრიანში ჩაიკარგა.

— დედა, დედა, დაგვბომბეს, მოგვსპეს, მოესპო ჰიტლერს სიცოცხლე! — ჩამოიკაწრა ლოყები ბაბუცამ.

— ნამდვილად ბომბი იყო, — ამ ხნის მანძილზე პირველად ჩაურთო სიტყვა ნუნუმ.

— ვაი ჩვენს მოსწრებას, ნამდვილად რიონჰესი ააფეთქეს! — ახლა ალიანდრა აკივლდა.

— ვერ ხედავ, ქალო, რა გაბდღვრიალებულია ბაბუცას ოთახი? რიონჰესი თუ ააფეთქეს, ამ დენს ღმერთი გიგზავნის? — გაბრაზდა ალიანდრას მეუღლე სილოვანი. კიდევ კარგა ხანს იქოთქოთა ხალხმა. ბევრი წყევლა-კრულვა უგზავნა მტერს, ბევრი მართალი და მონაჭორი განსაჯეს და ბოლოს დაიშალნენ.

## თავი მეხუთე

სალამოს ჰოსპიტალში კონცერტი გამართეს.

მეორე სართულის გრძელ და ვიწრო აივანზე სცენა მოაწყვეს. ოთახიდან ყველაფერი გამოალაგეს, რაზედაც დაჯდომა შეიძლებოდა — სკამები, მაგიდები, კარადები.

ორი შალის საბანი ფარდის მაგიერ გაჭიმეს აივანზე.

კონცერტი თეონამ გახსნა. ფარდის წინ დადგა და ხმამაღლა წაიკითხა ალექსანდრე აბაშელის ლექსი — „არ მოუშვა, დაჰკარი!" ლექსი სულ სამიოდე დღის წინ დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში", ყველას წაკითხული ჰქონდა და ბევრმა ზეპირადაც იცოდა. თეონა მაინც სხვა პეწით კითხულობდა. ხელები დაემჯილა, ფართო, ცისფერი თვალები ანთებოდა და მისი წკრიალა ხმა მომწოდებელი ზარივით რეკდა.

თეონას შემდეგ ზურიკო გამოვიდა და საკუთარი ლექსი წაიკითხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯემალ უკლებამ და ლამარა ლომიძემ ლეკური იცეკვეს. ბატუიას მამამისის აკორდეონი ჰქონდა მოტანილი და შესანიშნავად დაუკრა საცეკვაო. დოლი არ ჰქონდათ, მაგრამ ერთმა ცალფეხა ჯარისკაცმა გამოიყვანა მოცეკვავეები უხერხული მდგომარეობიდან. უზურგო სკამი იღლიაში ამოიჩარა და ისეთი ბაგაბუგი აუტეხა, რომ ალფეზიას მიერ ქორწილებში დაკრული მთიულურიც შეარცხვინოს იმასთან ღმერთმა.

ყველაზე მეტი მოწონება მაინც ალიოშა ციხელაშვილის გუნდმა დაიმსახურა. ალიოშას სოფლადაც ჰქონდა ჩამოყალიბებული მოწაფეთა გუნდი. სად იყო სიმღერის დრო, მაგრამ მაინც გამოინახა თავისუფალი საათი. შვიდიკაი ბიჭი შეარჩია. ძირითადად ქართულ ხალხურ სიმღერებს მღეროდნენ. დაჭრილებმა ტაშიც ბევრი დაუკრეს, „ბრავოც" ბევრი იძახეს, მაგრამ, თუ რამე მოხდა, მაშინ მოხდა, როცა ბიჭებმა დამახინჯებული რუსულით, მაგრამ კაი სამ ხმაში ჩაალულუნეს „მშვიდობით, საყვარელო ქალაქო". ჯერ პავლე და მის გვერდით მოკალათებული თეონა აჰყვნენ, მერე მეზღვაურებმა წააშველეს ბანები, ბოლოს მთელი აივანი აგუგუნდა: „მშვიდობით, საყვარელო ქალაქო, გავდივართ ხვალ დილით ზღვაში..."

დასრულდა კონცერტი. დაჭრილებმა სიყვარულით მიაცილეს ბავშვები ჭიშკრამდე. ალიოშა და ზურიკო სხვებს არ გაჰყოლიან. თეონა დედის მოსაძებნად გაიქცა. გაკვირვებული იყო, კონცერტზე რატომ არ დაგვესწროო. მისი ბრიგადის წევრებმაც გადაწყვიტეს დაცდა. მხოლოდ ლამარა წავიდა სახლში — დედამ არ იცის, სად ვარ და შეშინდებაო. ბიჭებს პავლე გოლიკოვთან დაცილებაც ენანებოდათ. პატარა ეზოს ბოლოში, დაღრეკილი, შრეებად დახეთქილი ბჟოლის ძირას ჩამოსხდნენ და საუბარი გააბეს.

თეონას ორივე სართული შემოერბინა. მაგრამ დედის კვალს ვერსად წააწყდა. იფიქრა, იქნება თავისუფალი დღე მისცეს და შინ წავიდაო. სწორედ ამ დროს შემოეფეთა მოხუცი სანიტარი ქალი ანიკო.

— დეიდა ანიკო, დედა არ დაგინახავთ?

— საოპერაციოშია ჩაკეტილი. შესვლა არ შეიძლება.

— დღეს რომ დაჭრილები არ მოუყვანიათ?

დეიდა ანიკოს, დაბნევა დაეტყო, ცოტა შეყოყმანდა. მაგრამ გოგონას ეჭვი რომ გაეფანტა, მყისვე მიუგო:

— ამელამ ველით ეშელონს. მთელი ღამე თვალს ვერ მოხუჭავენ, ალბათ. იგორ მიხაილოვიჩმა ბრძანა, ვინც ოპერაციაზე იქნება, ყველამ დაიძინოსო. ჰოდა, ისვენებენ მორიგე ექიმები.

თეონას არ გაჰკვირვებია. დაიჯერა და ეზოსკენ გატრიალდა.

სინამდვილეში ყველაფერი ცოტა სხვანაირად მოხდა. ნაშუადღევს, როდესაც დაჭრილები სადილს მორჩნენ, ნუნუმ პალატა ჩამოიარა. ერთი მძიმედ დაჭრილის ლოგინზე ჩამოჯდა, მკერდზე სახვევი შეუსწორა. სწორედ ამ დროს შემოსძახა აივნიდან დეიდა ანიკომ (მერე თავში იცემდა ხელს, ვაი, რატომ ენა არ გამიხმა, რამ დამაძახებიაო):

— ნუნუ, გამოდი ერთი გარეთ, მაკედონა ფოსტალიონმა მოგაკითხა.

ნუნუ დაფეთებული გამოვარდა ეზოში. ალაყაფთან მაკედონა იდგა. შეხედვისთანავე გაჰკრა გულში, რომ კარგი ამბავი არ იყო მის თავს. მაკედონამ უსიტყვოდ მიაჩეჩა დაბეჭდილი კონვერტი და გაბრუნდა. აღარც ახსოვს, როგორ წაახია კონვერტს თავი და ამოიღო შავი ქაღალდი. ხმა არ დაუძრავს, რკინის ჭიშკარს წაეპოტინა და, ალბათ, ძია მოსე რომ არ მიშველებოდა, მიწაზე გაიშხლართებოდა. ეზოში მოსეირნე ჯარისკაცებმა შეაშველეს ხელი. ფრთხილად შეიყვანეს ცარიელ საოპერა-

ციოში, საწოლზე წამოაწვინეს. წვეთი ცრემლი არ გადმოვარდნია. გამშრალი თვალებით მისჩერებოდა ჭერს და რაღაცას ბუტბუტებდა. საოპერაციო სწრაფად გაივსო ნაცნობებით და უცნობებით. უბედურ ქალს ლამის სული ამოართვეს მოთქმა-ქვითინით. კიდევ კარგი, იგორ მიხაილოვიჩმა დროზე გაიგო. მისი გამოჩენა იყო და საოპერაციო წამში დაიცალა. თვითონ სიტყვა არ დაუძრავს. კარი მიხურა, სკამი მწოლიარე ქალის თავთან მიიდგა და ჩამოჯდა. კარგა ხანს დუმდა. მერე ხმადაბლა უთხრა:

— იტირე... ქალის დარდის წამალი ცრემლია, — და წამოდგა.

— იგორ მიხაილოვიჩ, — შეაჩერა ნუნუმ, — უთხარით, თეონასთან არაფერი წამოსცდეთ. — მერე პირქვე ჩაემხო და ხმამაღლა აქვითინდა.

თეონასთან არავის არაფერი წამოსცდენია. გოგონა დარწმუნდა, დედა ისვენებსო. ჩამოვიდა აივნიდან და ეზოს ბოლოში შეთვალული თუთის ხის ძირას ჩამომსხდარი მეგობრებისაკენ გაიქცა.

ალიოშამ იკითხა:

— პავლე, რატომ ფრონტის ამბებს არ მოგვიყვები?

ძლივს მიეჩვივნენ სახელის დაძახებას. მამის სახელით მიმართვა გოლიკოვმა აუკრძალა მეგობრებს. თავდაპირველად უჭირდათ, ბევრად უფროსი ეგონათ, რაკი მოზრდილ წვერს ატარებდა. მერე, იგორ მიხაილოვიჩის ბრძანებით, მეზღვაურმა პავლემ წვერი გაიპარსა და აღმოჩნდა, რომ ძალიან ახალგაზრდა ყოფილიყო, სულ ხუთი-ექვსი წლით უფროსი აქაურ მეგობრებზე, დიდი-დიდი ალიოშას უფროსი ძმის — კაკოიას ტოლი თუ იქნებოდა.

— ფრონტის ამბებიდან მოსაყოლი ბევრი არაფერი მაქვს. ჩემი ამბავი ძალიან მოკლეა. დაიწყო ომი და მეექვსე დღეს დავიჭერი კიდეც... აი, ბევრსა ჰგონია, კაცი ომში თუ წავიდა, დაბრუნების იმედი გადაწურულიაო. სულაც არ არის ასე. ამბის მომტანიც რომ ნახოთ, მავანი და მავანი ჩემს თვალწინ დაიღუპა და მიწა ჩემი ხელით დავაყარეო, არ დაუჯეროთ...

— ისე, სჯობს სიმართლე იცოდე, — თავი გადააქნია თეონამ.

— მოეეშვათ ამაზე ფიქრს, — ხელი ჩაიქნია პავლემ. არაფერი სასიამოვნო გასახსენებელია ის ფრონტი. უკეთესია თქვენს ამბავს მომიყვეთ. როგორ მიდის სწავლის საქმე?..

— სწავლას მოვუხერხებთ რამეს, ოღონდ ესაა, დეპოში გვიჭირს ძალიან. ადამისდროინდელი დაზგები გვიდგას. გინდა გაწიე, გინდა გაჭიმე, ოთხ დეტალზე მეტს ვერაფრით ვერ ვამზადებთ ცვლაში.

პავლე დაფიქრდა. ჯანსაღი მარცხენათი წარბებს შორის შეყრილ ნაოჭებს დაუწყო გულმოდგინედ სწორება.

— სიჩქარის მომატება არ გიცდიათ?

— ეგ როგორ? — დაინტერესდა ზურიკო.

— ეს ტულელთა რაციონალიზატორული მეთოდია, — თქვა პავლემ. — დიდი არაფერი. კოჭაკს ხელახლა გადაახვევთ, დენის მიწოდებას გაზრდით და ბრუნი შეიძლება ოთხჯერ გაიზარდოს.

— ბიჭოს, ეს რაღაც კარგი გვითხარი, — გაუდიდდა ალიოშას.

— არაფერი არ გამოვა, — ცივი წყალი გადაასხა თეონამ.

— ვითომ რატომაო? — წარბები აძგიბა პავლემ.

— ჩვენს დაზგებზე ძველებური საჭრისებით ვმუშაობთ. რბილი ფოლადია. ისედაც ყოველ საათში სჭირდება გამოცვლა, იბლაგვება. ლილვაკის ბრუნის რიცხვმა რომ მოიმატოს, საჭრისი ან გატყდება, ან თვალსა და ხელს შუა ჩაგვეღლევა ხელში, — დინჯად აუხსნა თეონამ.

— ჰოო, — ჩაიბუზღუნა პავლემ. — საჭრისს ვერ შევცვლით?

— კბილანები არ ერგება. უკვე ვცადეთ, — მიუგო ზურიკომ.

დაღონებულებმა ჩაქინდრეს თავები.

— არა, მეგობრებო, ცხვირის ჩამოშვებით არაფერი





ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვა. ხვალ დილითვე იგორ მიხაილოვიჩს დავეთხოვებით და ქარხანაში გეწვევით. ნათქვამია, ერთი ჭკუა კარგია, მაგრამ ორი უკეთესიო. ხუთი ბრძენი რომ ჩამოვსხდებით, რაიმეს როგორ ვერ მოვიფიქრებთ!

ბავშვები გამხიარულდნენ, ცოტა იმედი გაუჩნდათ.

— მაშ, ხვალ დილამდე დავემშვიდობოთ ერთმანეთს, თორემ დალამდა უკვე. ერთბაშად შუქით არ იყოს ქალაქი გაჩახჩახებული! — გაიხუმრა ზურიკომ.

ყველანი წამოდგნენ და ხმადაბალი საუბრით გაემართნენ ჭიშკრისკენ. ჭიშკართან ორიოდე წუთს კიდევ შეყოვნდნენ, მერე სათითაოდ ჩამოართვეს ხელი მეზღვაურს და გავიდნენ.

მეორე დილით მუშაობის დაწყებამდე მთელი ნახევარი საათით ადრე მოიყარეს თავი. პავლე დაზგასთან იდგა. მარცხენათი გაუჭირდა დეტალის დამაგრება, გაშვება, თლა... მეგობრებიც წამოეშველნენ. კარგა ხანს უკვირდებოდა.

— ჩემი ძველი ნაცნობია, რტ-126, — თქვა მან. — ტულაშიც გვქონდა ასეთი დაზგები. ოღონდ უკვე აღარ ვამუშავებდით. მერე ზოგი ჯართის გეგმაში ჩავაბარეთ, ზოგი საშუალო სკოლას ვაჩუქეთ...

— ჰოდა, იმუშავე ახლა ამ ჯართზე, როგორი საქმეა?! — წამოიძახა ზურიკომ.

— ლილვაკის ბრუნის აჩქარება მართლა იოლია, — ჩაფიქრებით ლაპარაკობდა პავლე და აკვიატებული ჩვეულებისამებრ გულმოდგინედ ისრესდა წარბებსშუა გაჭიმულ ზოლებს. — ტულაში საშეფო სკოლას რომ გადავეცით, იმ დაზგებს ახალი კოჭაკები ჩავუდგით, ჩვენივე ხელით გადახვეული. თითქმის ერთიორად უფრო სწრაფად ბრუნავდა. მაგრამ საჭრისების გამოცვლა არ დაგვჭირვებია. რად გვინდოდა, რა გეგმა გვქონდა შესასრულებელი?!

— ვითომ არაფერი გამოვა? — წუხდა ლამარა.

— რა ვიცი, სატაცები უნდა დავშალოთ... მე მგონი, თუ ძალიან მოვინდომებთ, რაიმე ღონე შეიძლება გამოვძებნოთ. ოღონდ თქვენს დღევანდელ გეგმას წყალი გადაეწურება.

— ჩვენს ცვლაში მოვასწრებთ გაკეთებას?

— მოვასწრებთ, როგორ არა, — თქვა პავლემ. — თანაც, არ დაგავიწყდეთ, თუ როგორმე სატაცებში ახალი საჭრისების დამაგრება მოვახერხეთ, ცვლაში უკვე ოთხს კი არა, ათ-თორმეტ დეტალს დაამზადებთ.

— მერე ოთხივე დაზგას გადავიყვანთ ახალ რეჟიმზე. ეს, შენ ხარ ჩემი ბატონი, თექვსმეტის ნაცვლად ორმოცდაათამდე დეტალია. გეგმის 250 პროცენტი, — თქვა თეონამ.

— ყველას რატომ უნდა გადავუკეთოთ დაზგები? — წამოპილპილდა ზურიკო. — ვიფიქროთ, თავი ვიტეხოთ, დრო გავაცდინოთ, ვიწვალოთ, იმათ კი მზამზარეულად მიიღონ ცვლაში ათი დეტალი?

ბავშვები შეკამათებას აპირებდნენ, მაგრამ ვის დააცალა ლომიძის ქალმა — ფოცხვერივით რომ დაეძგერა ზურიკოს, საწყალი ბიჭი მუშტისტოლად დაიკუჭა.

— ასე ფაშისტის მეტი ვინ იფიქრებს? მეტი დეტალი რომ დამზადდება, ფრონტს მეტ ყუმბარას რომ მივაწვდით. გერმანელებს მალე რომ დავამარცხებთ, [illegible]ფერია, ხომ?.. შენი აზრით, მთავარია თავი [illegible] დახე, რა მარჯვე ბიჭი ვარო! თანაც შენი ნამუშევრით კი არა, პავლე გოლიკოვის ნამუშევრით გინდა თავის მოწონება... ფაშისტი ხარ და ეგ არის!

— ფაშისტი არა... ფაშისტი რა შუაშია... — წამოიწყო თეონამ და ზურიკო წელში გაიმართა. — დიდი უსინდისო კი ყოფილხარ, ჩემო ზურიკო.

— რა ვთქვი ახლა ისეთი, — ლამის ცრემლი მოერია ბიჭს. — ხუმრობაც არ შეიძლება თქვენთან... ვასწავლოთ, ბატონო, ავუხსნათ და თვითონ გააკეთონ. ყველა დაზგა ჩვენ რომ გადავაწყოთ, დეტალები ვინ უნდა დაამზადოს?

— მორჩით! — ხმა აუწია ალიოშამ. — შენ, ზურიკო, კარგად გესმის, რაზედაც ვლაპარაკობთ... დაზგას ვინ გადააკეთებს, ეგ არაფერ შუაშია. ისე, გოგოებო, თქვენც ნუ შეყრით ქვეყანას. შეეშალა კაცს, შეჭამეთ ახლა... ფაშისტი არა, ბარემ ჰიტლერად ან გებელსად გამოაცხადეთ ზურიკია ტყეშელაშვილი.

ყველას გაეღიმა.

— იცით, რა გითხრათ, — დაიწყო პავლემ, — ჯერ საკითხავია, გამოვა თუ არა რაიმე. რტ-126 ცოტა ნაზი დაზგაა. ახალი საჭრისის რეჟიმზე მაგისი კბილანები ძნელი გადასაყვანია.

ერთ საათში დაშალეს დაზგა. გოგონებმა დახსნილი დეტალები ჩვრით დააკრიალეს, ხელახლა დაზეთეს დაააწყვეს. სატაცებს ცოტა დამოკლება დასჭირდა. ვინ ეტყოდათ უარს, მთელი საათი ბატუიას დაზგაზე იჩითიფირთეს. პავლემ სატაცების კბილები სულ სათითაოდ დაზომა ფარგლით. მერე ფოლადის სახაზავზე გადაიტანა ფარგლის ზომა. ათასნაირად შეათვალ-შემოათვალიერა და დაასკვნა:

— მგონი ყველაფერი დამში მოვიდეს.

მაგრამ ეს როდი იკმარეს. ალიოშამ აიჩემა — საქმეს შუა გზაზე ნულა დავტოვებთო. კოჭაკიც გადაახვიეს, დაზგაააწყვეს და დენი რომ ჩართეს, სიხარულით ტაში დასცხეს, ისე სწრაფად აბზრიალდა ლილვაკი.

საჭრისი ლადო წითურმა მოიტანა — მტკიცე ფოლადის, ღარიანი, ცხვირგრძელი საჭრისი. ძველ საჭრისს მარტო სიმაგრით კი არა, ამ ღარითაც სჯობდა. ბურბუშელა ღარში იხვეოდა და გადმოლმა ცვიოდა. დაზგის გაჩერება დეტალის ჩარხვის დამთავრებამდე საჭირო აღარ იყო. დამთავრდებოდა ჩარხვა, დააყენებდნენ დაზგას, გამოხსნიდნენ გამოჩარხულ დეტალს და ჩაამაგრებდნენ ახალ ლითონს. ამ ოპერაციას ორი-სამი წუთი სჭირდებოდა. ამასობაში საჭრისიც გრილდებოდა.

ახალი საჭრისი პავლემ დაამაგრა. კბილანები ალიოშამ დაუჭირა. კარგად, მაგრად მოეკიდა სატაცი, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, მუშაობისას როგორ გამოდგებოდა. დაამაგრეს ლითონი. პავლემ საჭრისი მოიმარჯვა. თეონამ გულის კანკალით შემართა ხელი და ებონიტის სახელური გადმოსწია.

დაზგა აწივლდა, აცახცახდა, მაგრამ გაუძლო.

პირველი დეტალი ზუსტად ოც წუთში დამზადდა. დაზგა გამორთეს და საჭრისი გასინჯეს. სულ უხმარივით იყო. ცოტა ზომაზე მეტად გახურებულიყო, მაგრამ ძია ლადომ თქვა, ეგ არაფერია, ბოლოს და ბოლოს, მუშაობის პერიოდში წყლით გავაგრილებთო. ამოხსნეს დეტალი, გაზომეს, მოიწონეს და სწორედ ამ დროს შემოვიდა საამქროში ჯემალ უკლება.

გაიხარა ჯემალმა, მაგრამ რა გაიხარა!

— მაშ, გეგმას 250 პროცენტით შევასრულებთ?

— ჯერ კი. მაგრამ ყველა დაზგას რომ ასე გადავაწყობთ, გეგმასაც შესაბამისად გავზრდით. ძველი გეგმა ძველ დაზგებზე იყო გათვალისწინებული. — თქვა ძია ლადომ.

— ეხ, ჩვენ კი ჩაგვივარდა დღევანდელი გეგმა. ერთი დეტალის დამზადებაც ძლივს მოვასწარით. — წაიბუზღუნა ზურიკომ.

ჯემალმა კეფა მოიფხანა.

— იცით, რა გითხრათ? — დაიწყო მან, — კაცმა რომ თქვას, ყველაფერი ეს თქვენი ბრიგადის დამსახურებაა. დღეს ჩვენ რასაც ცვლაში გამოვიმუშავებთ, იმას თქვენი ერთი დეტალი დავუმატოთ და საერთო ანგარიშით ჩავაბაროთ კონტროლიორს. თითოეულ ცვლაში გეგმის 150 პროცენტზე ნაკლები მაინც არ გამოვა.

— სწორია. — თქვა ძია ლადომ. — მე კონტროლიორს მოველაპარაკები, ორივე ცვლის ნამუშევარი [illegible] გაატაროს... ეს არაფერი, მაგრამ სხვა დაზგებს [illegible] ყოთ ახლა?.. ცუდად კი არ გამიგოთ... თქვენი საქმეც გეყოფათ... ჭრილობაც გაწუხებთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძია ლადოს დიპლომატიურმა სიტყვამ პავლეს ღიმილი მოჰგვარა.

— დღეს აღარ მცალია, ხვალ დილიდან შევუდგები მუშაობას.

— არა, დღეს ვინ შეგაწუხებთ, ბატონო.

თეონას ბრიგადა და პავლე გოლიკოვი დეპოდან გამოვიდნენ, დერეფნის ბოლოში წამით კიდევ შეყოვნდნენ, ღიმილიანი სახეები მოაბრუნეს და მიაყურადეს.

— ღუღუნებს... ღუღუნებს... — წამოიმღერა ლამარამ.

ხუთივემ ღრმად ამოისუნთქა და მაისის სურნელებით გავსებული ქალაქის ქუჩაში გაბიჯა.

## თავი მეექვსე

დილით იგორ მიხაილოვიჩს შემოვლა ჰქონდა. ზოგს ილად სინჯავდა, ზოგთან უფრო მეტ ხანს ყოვნდებოდა. მძიმედ დაჭრილებს იმედიანი სიტყვით ანუგეშებდა. მსუბუქად ნაიარევთ მხარზე ხელს მოუთათუნებდა და ღიმილით დაამუნათებდა — ფრონტზე წასასვლელად გაემზადე, თორემ უშენოდ დავამარცხეთ გერმანია და ესაა.

პავლე გოლიკოვთან ცოტა მეტ ხანს დაყოვნდა. შეფიქრიანებულმა რამდენიმეჯერ შეატრიალა, წელზევით გააშიშვლა, გულსაც და ფილტვებსაც გულისყურით მოუსმინა. მერე ნუნუს მიუბრუნდა: დაბლა რომ ჩავალთ, ამის რენტგენის უკანასკნელი სურათი კაბინეტში მომიტანეო.

კაბინეტში რომ შევიდნენ, მაგიდის ნათურა აანთო და კარგა ხანს ათვალიერებდა რენტგენის სურათს. პავლე შეშფოთდა კიდეც, რაიმე უბედურება ხომ არა მჭირსო. ბოლოს მთავარმა ექიმმა სიჩუმე დაარღვია.

— ქიქიკოსთან ჩადი და უთხარი, ეგ თაბაშირი მოგაშოროს. თუ ყველაფერი კარგადაა, როგორც სურათში ჩანს, ორ-სამ დღეში გაგწერთ ჰოსპიტლიდან.

პავლე სიხარულისაგან ფეხზე ძლივს იდგა. თაბაშირი შემოხსნეს, მარჯვენა რამდენიმეჯერ მოღუნა და გაშალა. ტკივილი არ უგრძვნია. იგორ მიხაილოვიჩმაც გასინჯა, გამოჯანმრთელება მიულოცა.

...მეგობრები ზედ დეპოს კარებთან შემოხვდნენ. პირველად თეონამ შეამჩნია, რომ პავლეს გულზე აღარ ეკიდა მარჯვენა. ჟრიამულით შემოეხვივნენ გარშემო. კოცნიდნენ, ულოცავდნენ. ბოლოს ლამარამ თქვა:

— მოდით, პავლეს მორჩენა აღვნიშნოთ, ქალაქგარეთ გავისეირნოთ.

— სად?

— გელათში წავიდეთ. პავლეს არ უნახავს, დავათვალიერებთ კიდეც და ჰაერზეც გავივლით.

ასე, სამი საათი იქნებოდა, გელათში რომ ავიდნენ. ეზოში მწვანე ბალახს ხასხასი გაუდიოდა. სამუშაო დღე იყო და საექსკურსიოდ ვის ეცალა. თითო-ოროლა კაცს თუ მოჰკრავდით თვალს. მხოლოდ ერთგან, სამრეკლოს



ქვეშ, სადაც ყინულივით ცივი ბინული გადმოქუხს და რვაასი წლის წინათ გამოთლილი თხილის ხის ვეება კოდი დგას, სათუთად გათლილ ქვის ფილებზე სუფრა გაეშალათ. ეტყობოდათ, კარგა შექეიფიანებულები იყვნენ. სოფლის ბოლომდე გაისმოდა მათი სიმღერა: „ომში წასვლა მას უხარის, ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო...“

მოქეიფეებს შორის ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა ჩანდა. ოციოდე წლისა იქნებოდა. საკინძე წელამდე ჩაეღელა, ლამაზი, ფოფინა თვალები აელვარებოდა, ყელი მოეღერებინა და ხმამაღლა მღეროდა. პავლეც და ბავშვებიც უნებურად შეაჩერდნენ მოხდენილ ახალგაზრდას. ამიტომაც იყო, რომ თითქმის არც ერთს არ შეუმჩნევია სუფრის ბოლოში მოკალათებული აწოწილი ყმაწვილი. არავის ელაპარაკებოდა, არც სიმღერას აქცევდა ყურადღებას. იჯდა თავისთვის და ილუკმებოდა. ეტყობოდა, შემთხვევით მოხვედრილიყო სუფრაზე. არავის იცნობდა. ალბათ მოიპატიჟეს თავსწამომდგარი უცხო და მანაც თავპატიჟი აღარ გაიდო. პირველად თეონამ შეამჩნია. მოტრიალდა და ალიოშას ხალათი დაქაჩა.

— ალიოშა, შეხედე, უჩაია-ბულდოგი!

ალიოშამ ერთბაშად ვერც კი გაიხსენა. ზურიკო კი შეცბა, წამოწითლდა და თვალი ვეღარ მოაცილა. ბოლოს უჩაიამაც მოიხედა, შეამჩნია ყველანი, ალიოშაც იცნო, თვალი აარიდა. ალიოშამ თეონას ხელი მოხვია, გაიყოლა და ჩაულაპარაკა:

— გინდა ბულდოგი იყოს და გინდა „ავჩარკა“, მაგი არ მაწუხებს. თუ კიდევ რამე გაბედა, კისერს მოვუგრეხ.

კარგა ხანს ათვალიერებდნენ მონასტერს. უკან გამობრუნებას აპირებდნენ, როცა წყაროსთან გაშლილი სუფრიდან გინება, ყვირილი, ჯამ-ჭურჭლის მტვრევის ხმა მოისმა. მოტრიალდნენ და მოჩხუბრებისკენ გაიხედეს. ვერაფერი გაიგეს — ვინ ვის სცემდა, ვინ ვის ეჩხუბებოდა. ბოლოს გაარკვიეს — ყველანი ერთს მისეოდნენ.

— ბიჭოს, უჩაია-ბულდოგას სცემენ, — [illegible] ზურიკომ.

— კი არ სცემენ, კლავენ! — გაბრაზდა ალიოშა, ერთი ფეხის დაკვრით გადაჰკრა მინდორი და მოჩხუბრებში ჩაერია. ბევრი არ გასჭირვებია, ისე მიჰფანტ-მოჰფანტა შეზარხოშებულები.

— ეს ვინღა ოხერია, — შეიცხადა ვიღაცამ.

ყველანი ისევ წამოიქოჩრნენ. ხომ კაი ღონიერი ბიჭი იყო ალიოშა, მაგრამ თავმთელი, ალბათ, ისიც ვერ გააღწევდა ამ არეულობიდან, პავლე რომ არა.

— აბა, ხელი არავინ გაანძრიოს! — შესძახა მან და ყველა რომ დაშოშმინდა, მერე იკითხა, რა მოხდათ?

— რაღა რა მოხდა, შვილო, — წამოიძახა ჭარმაგმა კაცმა. — ამ ბიჭს რომ ხედავ, ჩემი შვილიშვილია. გაჭირვებაში და ობლობაში გამიზრდია. ფრონტი მოიარა. ორჯერ დაიჭრა და, როგორც იქნა, ცოცხალი დამიბრუნდა. აქ კი ამ ლაწირაკმა დანა ამოუღო და მოკვლით ემუქრებოდა. ვეუბნები — რას გვერჩი, შვილო-მეთქი, გისვამს, გიჭამია, ადექი და წადი-მეთქი. შენც არ მოგიკვდეს ჩემი თავი, გინდა თუ არა, უნდა მოვკლაო. მადლობა უფალს, რომ გამოჩნდით, თორემ...

— ბიჭო, შენ დანის ტრიალს ვერ გადაეჩვიე? — გადაირია ალიოშა.

უჩაიას ხმა არ გაუღია, არც გაქცევა უცდია. სუფრას მოსცილდა, ფერდოზე ნელი ნაბიჯით ჩავიდა და წაფერდებული რცხილის ძირას ჩამოჯდა.

დიდხანს არც პავლე და მისი მეგობრები გაჩერებულან, ყველას დაემშვიდობნენ და ქუთაისისაკენ გასწიეს.

კმაყოფილები, მხიარულები ჩამოდიოდნენ თავდაღმართში. ქვის ხიდი რომ გადმოიარეს, თეონამ უცებ დაღლილობა იგრძნო, „შევისვენოთო“, — თქვა, და ხიდის ყურეში წყალწითელას ჩამოტანილ ვეებერთელა გრანიტის ქვაზე ჩამოჯდა. ყველანი დასხდნენ. წუთიერი სიჩუმე ჩამოვარდა და, უჩაია-ბულდოგიც წამოადგათ თავზე.

დასასრული შემდეგ ნომერში



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდება, სამშობლოვ, შენ თავისუფალო, ხალხთა მეგობრობის ბურჯი ხარ შენ!




ჩვენი სტუმარია მოლდავეთის სსრ საბავშვო ჟურნალი „სკინტეა ლენინისტე"

## ძია სტრუგურეს ბრიგადა

დასვენებაზე სკოლაში უცხო მამაკაცი გამოჩნდა, არც ექიმსა ჰგავდა და არც მასწავლებელს. დადიოდა და ყველას ეკითხებოდა, მიტრუცეს კლასი სად არისო.

— შენ რა, მიტრუცეს ძმა ხარ? — დაინტერესდა პირველკლასელი გოგონა და მიტრუცეს კლასისკენ გაუძღვა სტუმარს.

— არა, — უპასუხა მან.

— აბა, სოფლიდან ჩამოსული ნათესავი ხარ?

— არა, არც ნათესავი ვარ.

კაცმა დაინახა, რომ გოგონამ აღარ იცოდა რა ეკითხა მისთვის და თავად დაასწრო:

— მე ძია სტრუგურე ვარ, კოლმეურნეობის ბრიგადირი.

მიტრუცე კლასში დაუხვდათ. ხელში გრძელი ლურსმანი ეჭირა და ყვავილის ქოთანში მიწას ჩიჩქნიდა.

არავინ იცის, რაზე ელაპარაკა ძია სტრუგურე ბიჭს, ის კია, რომ გაკვეთილების შემდეგ მიტრუცეს კლასის ნახევარი ქუდმოგლეჯილი გარბოდა კოლმეურნეობის ბაღჩისკენ.

ბაღჩისკენ ბევრი გზა მიდიოდა, მაგრამ ბიჭებმა ყველაზე მოკლე აირჩიეს, საზაფხულო არდადეგებზე ისინი სწორედ ამ გზით სარგებლობდნენ. როგორც კი ბაღჩას სარეველა მოერეოდა, ბავშვები შეესეოდნენ და გულმოდგინედ ძირკვავდნენ მას, ხოლო როცა მშრალ ამინდებს დაიჭერდა, მახლობელი გუბურიდან წყალს ეზიდებოდნენ და მოთმინებით რწყავდნენ ბაღჩას. ისეც ხდებოდა ხოლმე, რომ წვიმა ლამის მთელი კვირაობით არ გადაიღებდა, მაშინ ბიჭები ყოველ საზამთროსთან ქოლგას დგამდნენ. ჰოდა, იმდენი საზამთრო მოიწიეს, რომ სოფელსაც ეყო, ქალაქსაც და გამოფენისთვისაც დარჩათ. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ძალიან უნდოდა, რომ მისი პავილიონი ყველაზე ლამაზი ყოფილიყო.

— ყოჩაღ, ბავშვებო! გემრიელი მოსავალი მოიწიეთ. მოდით და იმათი სურათებიც გამოვფინოთ, ვინც ასეთი შესანიშნავი საზამთროები მოიწია.

აი, რისთვის ეძებდა ძია სტრუგურე მიტრუცეს კლასს. მან ბაღჩაში სურათის გადასაღებად მიიწვია ბავშვები.

— ჩქარა, ჩქარა! — ქუდის ქნევით აჩქარებდა ბავშვებს ძია სტრუგურე.

— სად დავდგეთ? — შორიდანვე ყვიროდნენ ბიჭები.

მაგრამ ფოტოგრაფს არ უყვარდა თავისი აზრის თავს მოხვევა. ის ისე იღებდა სურათებს, როგორც ხალხს უნდოდა.

— თქვენ თვითონვე როგორ გინდათ გადაღება? — ჰკითხა მან ბავშვებს.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს. რა ექნათ? პარტიზანები ომის დროს ხელში იარაღით იღებდნენ სურათს, ჩემპიონები — ხელში თასებით. ისინი კი... ისინი საზამთროებს დაიწყობენ ფერხთით და ისე გადაიღებენ სურათს.



კაპრიანის პიონერთა ბანაკში ჩვენი ქვეყნის ბევრი კუთხიდან ჩამოდიან დასასვენებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სიუმაწვილის სილამაზეს მოგაგონებს ალუბლების ყვავილობა.

ბიჭები გამწკრივდნენ. ფოტოგრაფმა ოდნავ უკან დაიხია, სურათზე ხომ ბიჭებიც უნდა გამოჩენილიყვნენ და საზამთროებიც.

— არ ვარგა. საზამთროები ვერ ეტევა.

ბიჭებმა საზამთროები ერთად შეაგროვეს და თვითონ უკან დადგნენ. ფოტოგრაფმა ობიექტივში გაიხედა და თავი გაიქნია.

— ახლა საზამთროები ჩანს, ბიჭები კი არა!

მაშინ ძია სტრუგურემ ორი სკასავით დიდი ყუთი მოიტანა, საზამთროების უკან დააწყო და ზედ ფიცარი გასდო. მერე ბიჭები ფიცარზე შეაყენა და ფოტოგრაფს ჰკითხა:

— აბა, ერთი ახლა ნახე, ჩანს თუ არა ჩემი ბრიგადა?

ფოტოგრაფი დაიხარა, ცალი თვალით ობიექტივში გაიჭყიტა, და კმაყოფილმა გასძახა:

— კარგია, მგონი, გამოჩნდა.

თუ გამოფენას ეწვევით, იმ ფოტოსურათსაც ნახავთ, რომელზედაც საზამთროების დიდი გროვა, მის კენწეროში კი მაკრატლით გადაჭრილის მსგავსი კუდებია ამოჭდილი. იცოდეთ, რომ ის საზამთროების კუდები კი არა, მიტრუცეს კლასელთა ბერეტების კუდებია, ხოლო თუ სურათზე ვაზის ფოთლებსაც შეამჩნევთ, არ იფიქროთ, რომ ისინი ქარის მოტანილია, ეს თაიგული იმ პირველკლასელმა გოგონამ მოურბენინა ბიჭებს, ურომლისოდაც ძია სტრუგურე მიტრუცეს კლასს ვერაფრით ვერ მიაგნებდა. აქ კი, სადაც არც გადაჭრილი კუდები მოსჩანს და არც ფოთლები, და მხოლოდ საზამთროებია, ძია სტრუგურე უნდა იდგეს, ის ძია სტრუგურე, რომელსაც ფიცარზე შედგომა დაავიწყდა.

ვიქტორ პროხინი

# ათასი ვარდის თაიგული

— მოშიშვლებული ხრამები ზედ სოფლამდე უწევდნენ. საბრალობლად გამოიყურებოდნენ მისი მოლოკილი ფერდობები, — იხსენებს მაქსიმენსკის სატყეოს მეტყევე ვასილი დოვგანი.

— ჩვენ კი გვეგონა, აქაურობა ყოველთვის ასე მწვანედ ხასხასებდა, ასევე აფრქვევდნენ სურნელს აკაციები, შრიალებდნენ ალვისა და არყის ხეები.

— რას ამბობთ, — განაგრძობს მეტყევე. — გული მიკვდებოდა, ამ მიწებს რომ ვუყურებდი. ერთხელაც, ავდექი და სკოლაში მივედი, პიონერებთან. ავუხსენი, როგორ შეიძლებოდა აქაურობის გალამაზება-გამშვენიერება. ბევრი ლაპარაკი არ დამჭირვებია. როგორც ხედავთ, ახლა ამ ფერდობებზე აკაციების მთელი ტყეა. კარგად იშრომეს 70-იანი წლების პიონერებმა, მაგრამ არც თქვენ ჩამორჩებით იმათ, — ეღიმება ვასილი დოვგანს, — კარგად აგრძელებთ იმათ დაწყებულ საქმეს. კარგმა საქმემ აუცილებლად უნდა იცოცხლოს. ამ მიწების ბედი კი ახლა, როგორც თავადვე გესმით, თქვენს ხელშია...

— კარგად გვესმის, ჩვენ ხომ ოპერაციაში „ვებრძოლოთ ხრამებს!" პირველი ადგილი დავიკავეთ. გაზაფხულზე კი ნერგებს მოვკიდეთ ხელი, ჩვენმა დარგულმა ყველა ხემ გაიხარა.

პიონერული ორგანიზაციის იუბილეს კი უზარმაზარი თაიგული ვუძღვენით — ათასი ვარდისგან შეკონილი თაიგული. ვარდის ბუჩქებს ჩვენ ადრე გაზაფხულზე სოფლის მახლობელ ფერდობზე გავაშენეთ.

აურელ ვულე,
ჩიმიშლის რაიონი,
სოფ. ჟავგური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი სასკოლო კინოდარბაზი

„დნესტრის ტალღები“ — ასე ჰქვია ჩვენს სუფთა და მყუდრო სასკოლო კინოდარბაზს. იგი პირველი სასკოლო კინოდარბაზია მთელ ორგეევსკის რაიონში. სარეკლამო პლაკატებს უფროსკლასელი მიშა პალიი და ვასია ფრუნზე ხატავენ, მოლარეც ჩვენივე მოწაფეა — ვანია ხანჩანი, ჩვენივე ბიჭები — ვანია ფრუნზე და იურა ვოიკა ასრულებენ კინომექანიკოსის მოვალეობას. მთელმა სკოლამ ნახა „თემური და მისი რაზმი“ და „ახალგაზრდა გვარდია“. ბევრი სიხარული მოაქვს სკოლის გოგო-ბიჭებისათვის ჩვენს კინოდარბაზს.

ლუჩიკა გრიგორიევა,
ორგეევსკის რაიონი,
სოფ. ვიშკაუცი.



ჩემი საყვარელი მშობლიური სოფელი. ლენა პერჩუნი, VII კლასი.

## მოსწავლეთა შრომითი საქმეები

# მშენებელთა ბრიგადა

იგორმა მეგობრებს გადახედა. სერიოჟა სლესარუკი ხელში ქაფჩას ათამაშებდა, საშა ოსადჩუკი და მიშა ნადულიშნიაკი გზას გასცქეროდნენ, ვანია შულიაკი აკვიატებულ მელოდიას უსტვენდა.

— იქნებ, სულაც არ მოიტანონ დღეს დუღაბი? — ხმა ამოიღო სერიოჟამ.

— მოიტანენ! რაკიღა განაწესი მივიღეთ, აუცილებლად მოიტანენ.

უკვე რამდენიმე წელია, ბიჭები ზაფხულის არდადეგებზე მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადის შემადგენლობაში შრომობენ, უფროსებს სხვადასხვა სამშენებლო-სარემონტო სამუშაობის შესრულებაში ეხმარებიან. სკოლის მეზოცვრეობის ფერმაც თვითონ ააშენეს, გალიებიც თავად მოაწყვეს, ორპირმა ქარმა რომ არ შეაწუხოს ცხოველები, ფიცრულ კედლებს ტოლიააკრეს. კარგად იცან კოლმეურნეობა „ბოლშევიკში“ მოსწავლეთა სიმარჯვის ამბავი და ამიტომაც გულმშვიდად ანდობენ მათ საქმეს. აი, ამჯერადაც ბოსლის შეკეთება დაავალეს. ბიჭები მონდომებით, მთელი პასუხისმგებლობით მუშაობდნენ. სწორედ ამიტომ აღელვებდათ ხოლმე სამუშაო პროცესის მცირედი შეფერხებაც კი.

იმ დღეს მოსწავლეთა ბრიგადას დათქმულის თანახმად მოუტანეს დუღაბი და ბიჭებმაც საღამოსთვის უკვე შეასრულეს დღიური ნორმაც.

ვაშლის კრეფა. ვალენტინა კოლიაკოვა, VII კლასი



ეროვნული ბიბლიოთეკა




პოეტ გრიგორ ვიერუს ხალისიანი შეხვედრა მოუწყვეს პიონერებმა.

## ცისარტყელა მინდვრების თავზე

როცა მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადის ბრიგადირმა იულია ანდრონიკმა გამოაცხადა, მრწყველთა რგოლს ვქმნითო, მსურველი ცოტა გამოჩნდა. მაგრამ, როდესაც ბავშვებმა გაიგეს, რა რთული და საინტერესო ამოცანები უნდა გადაეწყვიტა რგოლს, ბევრმა მოინდომა რგოლში ჩაწერა. ახლად შექმნილ რგოლში სიამოვნებით ჩაეწერნენ საშა ნადულიშნიაკი, ტოლია ბაბკინი, ლენა გუცუ და სხვაც ბევრი გოგო-ბიჭი.

როცა გარშემო პაპანაქება სიცხე და გვალვაა, მინდვრებს ხელოვნური წვიმა რწყავს. გაივლის ერთი-ორი საათი და გამოცოცხლებული არემარე მწვანედ ხასხასს იწყებს, წვიმის ჭავლში კი საშასა და მისი მეგობრების მიერ ანთებული ცისარტყელა იწყებს კიაფს.

## ბრძოლა „მწვანე ხანძართან“

ხშირი წვიმების შემდეგ სარეველა მომძლავრდა. ბრიგადირმა ბავშვები გააფრთხილა — თუ რამდენიმე დღეში ვერ გაუმკლავდებით სარეველებს, ჭარხალიც დაგვეღუპება და მზესუმზირაცო.

გოგო-ბიჭები რგოლებში გაერთიანდნენ და სარეველას შეუტიეს. მოკლე დროში გაწმინდეს მზესუმზირისა და ჭარხლის ნაკვეთები, ჩააქრეს „მწვანე ხანძარი“.

უმცროს მეგობრებს ვანია ტიმკო დაეხმარა. ვანიამ წელს დაამთავრა სკოლა და სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად ემზადებოდა, მაგრამ, რომ დაატყო, მოსწავლეთა ბრიგადას დიდი ჯაფა ადგასო, თვითონაც თოხს მოჰკიდა ხელი.

ბრიგადის წევრები თავისუფალ დროსაც ერთად ატარებდნენ, ერთად დადიოდნენ ტბაზე, აწყობდნენ ექსკურსიებს.

— ამ ხნის განმავლობაში ისე შევეჩვიეთ ერთმანეთს, — ამბობს ვალია პუიუ, — რომ ვეღარ წარმოგვიდგენია, როგორ უნდა გავძლოთ უერთმანეთოდ, გამომუშავებითაც საკმარისად გამოვიმუშავეთ, ისე რომ, ყველას შეგვიძლია რაღაც-რაღაცები შევიძინოთ.

## სასკოლო ფერმა

ის იყო, ვალია კუროშმა, ვიტალი გუდიმამ და კოლია სლესარჩუკმა გალიების დალაგება მოათავეს, რომ კარებში ევგენია მასწავლებელი გამოჩნდა.

— როგორ არის საქმეები? — ჰკითხა მან მოსწავლეებს.

ვიტალიმ ასტამი გვერდზე გადასდო და მასწავლებელს მიუახლოვდა:

— მაპატიეთ, ევგენია მასწავლებელო, მაგრამ აქ შემოსვლა არ შეიძლება, ახლა დედა ბოცვრები ძალიან ნერვიულობენ და ფრთხებიან.

მასწავლებელმა გაიღიმა და შეაქო ვასია ბოცვრებისადმი ასეთი დამოკიდებულებისათვის.

სკოლის ფერმაში ოთხმოცამდე ბოცვერი ჰყავთ. ბრიგადაში საკვებმომპოვებელთა სპეციალური რგოლია შექმნილი, რომელიც კოლმეურნეობისთვისაც ამზადებს თივას და სასკოლო ფერმისთვისაც. ისე რომ, ბოცვრებს ყოველთვის საკმარისად აქვთ საკვები.

**საულ იცკევიჩი,**
**რიშკანის რაიონი,**
**სოფ. რაკარია.**

დილა. სვეტა სოციჩი, VII კლასი.



# იყო ერთი ბიჭი...

(დათო კრაჭაშვილს)

## ირინე კუკავა

მოშუადღევებულიყო...

ცხელი მზის სხივები ხალისიანი კისკისით დახტოდნენ სახურავებზე.

ბიჭები ჯგუფ-ჯგუფად გამოდიოდნენ სამხატვრო სასწავლებლის შენობიდან, ხმამაღლა საუბრობდნენ ახალგახსნილ გამოფენაზე, ცხარედ, ბავშვური მოურიდებლობითა და ხელების ქნევით გამვლელთა უნებურ ყურადღებასა და ღიმილს იმსახურებდნენ.

მერე მოულოდნელად შეცვალეს საუბრის თემა და გუშინდელ ფეხბურთის მატჩს გადასწვდნენ. გატანილი გოლები გაიხსენეს, აღტაცებით შეაქეს „დინამოს“ ფეხბურთელები, უცებ ერთხმად ახითხითდნენ: გუშინ ხომ იმარჯვეს და უბილეთოდ შეიპარნენ სტადიონზე, მილიციელებსაც ჩვეული სიმარჯვით გაუსხლტნენ.

ასე სიცილ-ხუმრობასა და კამათსაუბარში შეთხელდა ჯგუფი, ბიჭები მხიარული ღიმილით და დარდიმანდული ხელის აწევით დაემშვიდობნენ ერთმანეთს. ზოგი დაძრულ ავტობუსს შეახტა, ზოგი ტროლეიბუსის გაჩერებაზე შეჩერდა და ჯიბეში ხურდა მოიძია, სხვები მახლობელ ქუჩებსა და შესახვევებში მიეფარნენ.

შარაგზაზე ორი ბიჭილა დარჩა. ერთი კენჭს მოაგორებდა და ხმადაბლა უსტვენდა, მეორეს ჯიბეებში ჩაეწყო ხელები და თავჩაღუნული მოაბიჯებდა. კარგა ხანს გაუგრძელდათ აიჩუმე. ბოლოს დათომ ამოიღო ხმა:

— რა კარგი იქნება ახლა ტყე: სიმშვიდე, ჩიტების ჭიკჭიკი, ნედლი სიმწვანის სასიამოვნო სუნი, სუფთა ცა, მაღალი ხეები...

— ჰო, აქ კი, ჩვენს გარშემო, მილიონიანი ქალაქი გადაჭიმულა თავისი საზრუნავით, ხმაურითა და მოუცლელობით, — ჩაიცინა ზურამ. — თუმცა ზეცას აქაც მშვენივრად დაინახავ, თუ თავის გადაწევას იკადრებ, ხომ ხედავ, რა ცისფერი და ულრუბლოა. რას უწუნებ?!

შეხედე, რა ცაა!
ესაა, რაცაა!..

— ჩაილაპარაკა დათომ თავისთვის.

— კარგი გამოვიდა შენი „გალაკტიონის პორტრეტი“. ლამაზიცაა და ორიგინალურიც, მე ვერც კი მოვიფიქრებდი, რომ ხე ასე შეიძლებოდა დამგვანებოდა ადამიანს. მოკლედ, ტვინი ხარ, რაღა!

— გალაკტიონს უკეთესი ეკადრებოდა, — დაფიქრებით თქვა დათომ. — სულ ეგრეა, დავხატავ და მერე აღარ მომწონს. ასე მგონია, რაღაც აკლია... მაგრამ არა უშავს, ოდესმე მეც მექნება დიდი, ნამდვილი სახელოსნო. მაშინ არავინ შემიშლის ხელს, თავისუფლად შემეძლება წერაც და კითხვაც, ხატვაც და ფიქრიც; ახლა კი... ყოველი ახალი ნახატი მგონია ის, რასაც ველოდი და ვეძებდი. მაგრამ მთავარი ჯერ არ ჩანს... „შემოდგომაზე დავხატავ სურათს და მე ის ტილო გამითქვამს სახელს!“ — დათოს საკუთარი ლექსის სტრიქონები მოაგონდა და ხმამაღლაც წამოსცდა.

—ახალი ლექსი ხომ არ დაგიწერია? — მაშინვე ჩაეკითხა ზურა.

— არა. წუხელ გვიანობამდე ვკითხულობდი. მერე ბებომ შენიშნა, რომ ჩემს ოთახში სინათლე ენთო და შემოვიდა, ხომ არაფერი გინდაო. თავი მოვიმძინარე. დიდხანს დამყურებდა და ჩურჩულებდა. მლოცავდა ალბათ, პირჯვარიც კი გადამსახა. მერე ჩემი საწოლიდან წიგნი აიღო და სათაურის წაკითხვა სცადა, ეტყობა, ვერაფერი გაარჩია და ის იყო სათვალის მოსატანად დააპირა წასვლა, რომ ველარ მოვითმინე და გადავიხარხარე. გულისგარეთ [illegible]რდა, მატყუებდიო, განა, [illegible]ფეხო, ხომ გაგაფრთხილეს, რომ ღამით გვიანობამდე კითხვა თვალებს გაგიფუჭებსო. თან ვინ იცის, რა წიგნს კითხულობო. ვიცი მე შენი ონავრობის ამბავიო... დავამშვიდე. პუშკინის ლიურებს ვკითხულობდი და გამიტაცა-მეთქი. დამიჯერა და აღმითქვა, მამაშენს არ ვეტყვი, რომ ღამით კითხულობდი, საიდუმლოს შევინახავო. რა საყვარლები არიან მაინც ეს მოხუცები. მეჩხუბება, ამდენს რატომ კითხულობო, მეზობლებთან კი ემაყება ნაკითხი შვილიშვილი.

— ჩემს ბებოს კი, — გაეცინა ზურას, — სულ სხვა საზრუნავი აქვს: იკითხეო, მთხოვს. წუხელ წვიმდა და ფეხბურთი ვერ ვითამაშეთ. შინ ვიჯექი და დეტექტიურ რომანს ვკითხულობდი. ბებია კარის ჭუჭრუტანიდან მიყურებდა და ფეხაკრეფით დააბიჯებდა, ალბათ ჩემი გამოსწორება უხაროდა...

— მე კი წვიმის ხმაურმა წიგნიც გამამეტებინა, უცებ მომეჩვენა, რომ წვიმის წვეთები ფანჯარაზე მიკაკუნებდნენ და ატირებული ბავშვივით მთხოვდნენ შინ შემოშვებას. ცივბნელ ღამეში პატარა, უმწეო წვეთები ობლად დარჩენილიყვნენ განრისხებული ზეცის პირისპირ. ისე შემეცოდნენ, რომ ფანჯარაც კი გავაღე, მაგრამ მერე ისეთი რამ დავინახე, რომ წვიმა სულ გადამავიწყდა.

— რა ნახე ასეთი? — შეაწყვეტინა ზურამ მოუთმენლად.

— წვიმის გუბეში ერთადერთი ფოთოლი ტივტივებდა დატყვევებულივით, იხრჩობოდა და კვნესოდა საბრალო, მაგრამ არავის ესმოდა მისი. ალბათ, რა ლაღად და უდარდელად ცხოვრობდა ხეზე, როცა მზეს ახლოდან შესცქეროდა და ხარბად ისუნთქავდა ბროლივით გამჭვირვალე ჰაერს. მერე აშარმა ქარმა არ დაინდო და ადამიანებმაც გულგრილად გათელეს. რაღაც სასწაულით გადაურჩა მკაცრი მეეზოვის ვეება კოცხს და ხის ძირში მიიკუნჭა. ბოლოს ერთმა პატარა გოგონამ შენიშნა, აიღო, მიეალერსა, გულზე ფრთხილად მიიხუტა და შინ წაიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვბეჭდავთ
დათო კრაწაშვილის
15-18 წლის ასაკში
შესრულებული ნამუშევრების
ფოტორეპროდუქციებს



მოხუცის პორტრეტი



მოჩხუბარი მამაკაცები



მეთევზე

— ხმელი წიფელი გამიგონია, მაგრამ ხმელი ფოთლისა არა მესმის რა, არც ზღაპრის დაწერა მიცდია ოდესმე; შენ კი შეგიძლია. ბედნიერი ხარ.

— ბედნიერი? რა ვიცი... ზოგჯერ ძალიან მიჭირს ხოლმე. აი, წუხელ დიდხანს ვფიქრობდი, მერე ჩემს დღიურებს ჩავუჯექი. ბოლოს რატომღაც მარტოობისა შემეშინდა და კინაღამ შენთან დავრეკე.

— მე ამ დროს ალბათ ფერადი და მხიარული სიზმრის მეორე სერიას ვხედავდი, — გაეცინა ზურას.

— დიდხანს არ დამეძინა. ჩემს ნახატებს ვათვალიერებდი. ზოგი დავხიე კიდეც. მეუბნებიან, შენი ტოლი ბიჭი სხვაგვარად უნდა ხატავდესო, ასე რთული აზროვნება შენი ასაკისათვის შეუფერებელიაო. იქნებ მართალია, მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლია და რა ვქნა!

— მე ძალიან მომწონს შენი ნახატები, — გულწრფელად გაუღიმა ზურამ.

— იმიტომ, რომ შენ გესმის ჩემი. დედაჩემი კი ამ ბოლო დროს შიშითაც კი შემომცქერის, ძალიან ფიქრიანი და გულჩახვეული გახდიო, და კიდევ ვინ იცის, რას არ მაბრალებს.

— შენც ერთი, მოგცლია, დედები სულ მუდამ რაღაცას მოიგონებენ ხოლმე და გაუთავებლად წუწუნებენ, — ჩაიცინა ზურამ.

— არა, დედაჩემი უმიზეზოდ არასოდეს ბუზღუნებს. ამას წინათ მეზობლის ქალს უთქვამს, დათოსნაირები დიდხანს ვერ ცოცხლობენო, ამიტომაც არის შეფიქრიანებული.

— რას არ მოიგონებენ ეს მოხუცი ქალები! — ჩაიფრუტუნა ზურამ.

— მოხუცი არ არის ჩემი მეზობელი, — დათოს ყრუ და გაბზარულ ხმაში ისეთმა სევდამ გამოჟღერა, რომ ზურამ გაოცებით შეხედა, მაგრამ ჭაბუკმა სწრაფად მოარიდა მზერა მეგობარს და განზე გაიხედა...

•

ნინიკოს ტახტზე მოერთხა და დათოზე ფიქრობდა...

რა უცნაური ბიჭია! რა ხანია, არ გამოჩენილა. არც დაურეკავს. მთელი ხუთი დღეა, არ უნახავს, მოენატრა კიდეც, ნუთუ მას არ ენატრება?.. იმ კვირა დღეს კი... შეხვდნენ ერთმანეთს. ჯერ შოკოლადიანი ნაყინით იჯერეს გული. ტუჩებმოთხვრილნი გულიანად და უმიზეზოდ იცინოდნენ. მერე ახალი ფილმის ნახვაც მოასწრეს. ბოლოს დათომ აიჩემა, მთაწმინდაზე ავიდეთო. ნინიკოც დაეთანხმა. დიდხანს დაფიქრებული დადიოდა ბიჭი საფლავებს შორის, უცნაურად შეეცვალა სახე.

ყველაზე დიდხანს ბარათაშვილის საფლავთან იდგნენ. მზიანი ამინდი იყო. ქალაქს უშურველად დასჩახჩახებდა მნათობი. ცა ისე ახლოს იყო, რომ ხელითაც კი მისწვდებოდი. დათოს ჩურჩულით აღმოხდა: „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“.

თვალდახელშუა გაილია დრო. უხმოდ დაუყვნენ მიხვეულ-მოხვეულ თავდაღმართს. გოგონამ ვერ აიტანა სიჩუმე.

— რაზე ფიქრობ? — ჰკითხა ვაჟს.

— ხელოვნებასა და უკვდავებაზე ვფიქრობ, — ექოსავით მოისმა დათოს ხმა.

— კიდევ? — ჩაეძია ნინიკო.

— კიდევ — სიკვდილზე..

— სიკვდილზე? — ნინო გაოცდა, შეკრთა, შეშინდა და შეაჟრჟოლა.

— სიკვდილი ყოველ ადამიანს ლანდივით დაჰყვება ყველგან და ელის, როდის დადგება მისი ჯერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა


სახლი ჩატეხილი კიბით


ალიბაბა


მხედარი


მეეზოვე

— დათო, — ნინოს ხმაში მუდარა მოისმა. — რა საჭიროა სიკვდილზე ფიქრი, ასეთი ლამაზი დღეა, მეც ისეთ კარგ გუნებაზე ვარ!

— ლამაზი დღე, — დაფიქრებით გაიმეორა დათომ. — ლამაზი სიკვდილიც არსებობს, ნინიკო. მთავარია, სული არ მოკვდეს სხეულთან ერთად, ლამაზი, ნათელი და პოეტური სული. მთავარია, ისე იცხოვრო, არ დაგივიწყონ...

არ არსებობს იმ კვირა დღეზე უფრო ლამაზი, ამაღლებული, ბედნიერი და მრავლისდამტევი დღე...

მაგრამ მას შემდეგ ამდენი ხანი გავიდა... იქნებ ავად არის?!

ნინო შეშფოთდა, აქამდე როგორ ვერ მოიფიქრა: ალბათ გაცივდა, მას ხომ წვიმაში უყვარს სეირნობა და ფიქრი! ყურმილს დასწვდა და ნომერი აკრიფა. ნაცნობმა ხმამ უპასუხა. გოგონა მოულოდნელობისაგან შეკრთა. აღელდა, დაიბნა.

— სადა ხარ, დათო, სად დაიკარგე? — ჩასძახა გახარებულმა.

— ვხატავ... შინიდან რახანია არ გამოვსულვარ.

— დაგერეკა მაინც... — წყენა დაეტყო ნინიკოს.

დათომ არ უპასუხა და ამან უფრო გააბრაზა გოგონა.

— იცი რა, თუ არ გინდა, იყავი შენთვის, არავინ გეხვეწება! — მიახალა და ყურმილი დააგდო.

წვიმდა...

•

ნინომ არდადეგები სოფელში გაატარა და თბილისში მხოლოდ სამი თვის შემდეგ დაბრუნდა.

ყველაფერი დამთავრებულიყო უკვე. ბიჭი ღრუბელივით გამქრალიყო ჰაერში და სახსოვრად სურათები, ლექსები, წერილები, დღიურები, მოგონებები, ნახატები და ტკივილი დაეტოვებინა.

ტელევიზორიდან და გაზეთებიდან ბიჭის დიდი თვალები მისჩერებოდნენ ნინიკოს, რადიოში მისი ლექსები ისმოდა, გამოფენაზე უამრავი მნახველი ათვალიერებდა მის ნახატებს და დარბაზი იმ „დიდ, ნამდვილ სახელოსნოს" ჰგავდა, რომელზედაც ოცნებობდა დათო.

— რა საოცარია!

— რა ნიჭია!

— რა უბედურებაა!

— აქამდე რატომ არ ვიცნობდით?

— რამდენი რამ მოუსწრია!

— ეს ხომ დიდი ხელოვნებაა!

— რა ტკივილნარევი სიამაყე დაგვიტოვე, დათო!

— რა უხმოდ, მორიდებულად, შეუმჩნევლად ცხოვრობდა ჩვენს გვერდით და მხოლოდ სიკვდილით გვაგრძნობინა ფასი საკუთარი დიდი შემოქმედებისა!

და ბოლოს:

— ბედნიერია ის, ვინც ამ სულმაღალ ბიჭს უყვარდა.

ნინოს ნაბიჯი შეეშალა, ნახატები ერთმანეთში აერია. ბიჭის პორტრეტს მიაჩერდა. ლამაზი, იდუმალი, სევდანარევი, მაგრამ უსაყვედურო ღიმილით შესცქეროდა დათო გოგონას და ამ ღიმილით ყველაფერს ერთბაშად მიუტევებდა. ნინოს გული შეეკუმშა. ახლაღა იგრძნო, რომ დამნაშავე იყო... ტკივილმა დაუსერა გული, ერთბაშად სული შეეხუთა და გარეთ გავარდა. კუთხეში ზურა შენიშნა, გაფითრებული იდგა, ტუჩებს იკვნეტდა. ისევ წვიმდა, წვეთები უნუგეშო მოტირალებივით ქვითინებდნენ. ნინოს შესცივდა და მოიბუზა. ახლაღა იგრძნო ნამდვილი მარტოობა. სახეზე ხელები აიფარა და გულამოსკვნით ატირდა.

სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თაკარა მზეში—ჰინდის მიწაზე

ინდოეთისა და საქართველოს ურთიერთობა ოდითგანვე მეგობრული იყო. ქართლის მემატიანე, მართალია, ძუნწად, მაგრამ მაინც საგულისხმოდ აღწერს ვახტანგ გორგასალის მშვიდობიან მისიას ჰინდის მიწაზე. ქართველებმა კაცობრიობას შემოუნახეს ერთ-ერთი ბრწყინვალე ინდური ლიტერატურული ქმნილება „სიბრძნე ბალავარისა". როგორც ცნობილია, ეს ნაწარმოები მე-7 საუკუნეში ითარგმნა ქართულად, ხოლო მე-11 საუკუნეში ქართველმა სწავლულმა ექვთიმე მთაწმინდელმა იგი ქართულიდან ბერძნულ ენაზე თარგმნა და ხელმისაწვდომი გახადა ცივილიზებული სამყაროსათვის.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ფრანგი მეცნიერი და მოგზაური ფრანსუა ბერნიე წიგნში „უკანასკნელ პოლიტიკურ გადატრიალებათა ისტორია დიდი მონღოლის სამეფოში" იმ სამ ქართველზე, რომლებსაც საუკუნის წინათ ინდოეთის ერთ მოზრდილ ნაწილში სამი სამეფო შეუქმნიათ და მონღოლების წინააღმდეგ დიდ სამხედრო ოპერაციებს ახორციელებდნენ.

საინტერესოა ერეკლე მეორის ელჩის რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობაც ინდოეთში.

ჩვენს დროში ქართველთა მოგზაურობას ამ ქვეყანაში ახალი შინაარსი მიეცა. უპირველეს ყოვლისა, მინდა მოვიხსენიო რუსთაველისა და ნერუს სახელობის პრემიების ლაურეატის, აკადემიკოს ირაკლი აბაშიძისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატის, აწ განსვენებული იოსებ ნონეშვილის ინდოეთში მოგზაურობით შთაგონებული შესანიშნავი ლექსები. მეც ვცდილობდი, ახალი კუთხით დამენახა ინდოეთი იქ ჩემი მოგზაურობის ჟამს.

ჟურნალ „პიონერის" მკითხველებს ვთავაზობ რამდენიმე ლექსს წიგნიდან „თაკარა მზეში — ჰინდის მიწაზე".

**დილარ ივარდავა**

## გორგასალი ჰინდში

ვახტანგ მეფე
გზას გაუდგა
შორეულს —
ჰინდის მიწა
ელის ივერთ მეფეს.
წინ დღეების
მღვრიე,
მღვრიე მორევია,
მზე მოისვრის
ხვატის მშხივან შხეფებს.
მგზავრობაო — ბრძანეს, —
დიდხანს გასტანსო,
უდაბნოს კი
ცხელი ფილტვი
ებერება,
ამალიდან ვინც კი
ახლა ვაჟკაცობს,
ვინც მღერის და...
გულშიც ჩუმად
ემღერება,
მერეც ასე
გაახარებს ვახტანგს,
გზადაგზა
არ შეეცვლება ნირი?!
ვინ ჩასწვდება
მეფის ფიქრს ან ნატვრას,
როს შორდება
მცხეთასა და თბილისს?!
რა საქმემან
შესძრა ერისკაცი,
ეს მგზავრობა
თვე-რამდენი გასტანს?!
წინ გამოცდა ელის
მკაცრზე მკაცრი
ამალას და...
რა თქმა უნდა, ვახტანგს.
თეთრ ტაიჭზე
ამხედრებულ გოლიათს,
მოუხმობენ
სპარსთ-ავღანთა გზები, —
მაკედონელს
აქეთ ჩაუქროლია,
დაჰფანტვია
მწირ სავალზე ხმები...
ამირცარში
სიკვდილი რომ სწვევია,
ენიშნა კი ცუდად
ახლა ვახტანგს?!
მეფის დარდს რომ ჩასწვდე —
ძალზე ძნელია —
მაკედონელს
ივერთ მეფე არ ჰგავს!
ჰგავს მგზავრობა
სამშვიდობოს უფრო.
ჰინდის მიწას
სტუმრის გარდა რა სურს?!
ჟამთაღმწერელს
ახლა პასუხს ვუთმობთ,
მაგრამ იგიც
ვერ იძლევა პასუხს!
მე კი ახლა
რომ გავიგო, მსურს —
აღისრულა მეფემ,
რაც კი ინდომა?!
მატიანე
ცნობას გვაწვდის ძუნწს:
ვახტანგ მეფე
ეწვიაო ინდოეთს!

## ექვთიმე მთაწმინდელს— „სიბრძნე ბალავარისა"-ს ბერძნულად მთარგმნელს

თარგმნეთ და ჰქარგეთ
დასახატი დიდი ქმნილება,
იმ ძველ ენაზე —
ჰომეროსი ილვწოდა რაზეც;
სიბრძნემ თქვენმა და
ჭეშმარიტმა ალღომ ინება,
მიმატებოდა ჰინდის განძი
მსოფლიო განძებს.
ასეთები ხომ
მნათობებად ჩირაღდნდებიან,
არ მიჰყვებიან
ჟამთა რონინს —
მარად უცვლელნი,
„სიბრძნე ბალავარისა"-ს,
მჯერა, მაშინ დაჰბედდებია,
რომ ყოფილიყო სიყვარული
დიდი რუსთველის!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერე მსოფლიომ იგი იგრძნო
თქვენი წყალობით;
დიდი მხატვარი
ამგვარად კლავს
კოსმოსურ მანძილს, —
და დღეს აქ, ჰინდზე,
წინაპარო,
შემხვდი გალობით,
ჰინდზე,
რომელსაც დაუბრუნე
თავისი განძი!

## იმ სამ ქართველზე

სამმა დიდებულმა ქართველმა მე-15 საუკუნის მიწურულში ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთ რაიონში, სინდისა და ფენჯაბის მხარეში სამი სამეფო შექმნა, რომლებმაც თითქმის ორასი წელი იარსებეს.

ფრანგი ისტორიკოსი
ფრანსუა ბერნიე

მოველ, ვეახლე ფენჯაბს და
სინდის,
წელი ხუთასი შემაგვიანდა, —
მემატიანე უძველეს ჰინდის
სტუმარს თავისას
მამცნობს ნიადაგ:
იმ სამ ქართველზე —
ინდოეთს რომლებს
ორასი წელი
სამეფო ჰქონდათ,
მათ სახილველად
დღეს თითქოს მოველ —
მოველ წარსულის
კვირტად და ხმობად!..
აი სინდი და
აი ფენჯაბი.
ვამბობ ხმამაღლა:
აქ ვითარ ძლებთო,
მზე ზენიტზეა,
მზე სევდას სჯაბნის —
ამ სიცხადეში სად გძებნოთ,
ძმებო!
სინდის და ფენჯაბს ვესათუთები,
აქაც გაჰკივის ქართვლის ჯავარი:
კიდევ ითქმება სიბრძნე
უთქმელი —
სათქმელი იყოს! —
აი მთავარი!
ფესვო ივერთავ,
ვაზზე ხნიერო,
ევფრატს და ტიგროსს როს
ავუყვებით,
წლების სიღრმიდან საბედნიეროდ
გამოკვირტდები ქართული ხმებით!

## ფიქრები მადრასში

ბენგალიის ყურე —
მთვარის თეთრი ხმალი:
ქარაფთ გადამყურეს
თვალს მიჭრელებს ლალი;
დადგა ღამე წყნარი,
ღამე მონარნარე;
მოიხვია სარი
თამილანდის მხარემ.
მხარე თამილანდის —
სისხლში გვალვას მივლის, —
თავს დამადგა ლანდი
დანიბეგაშვილის...
როდის იყო,
როდის?!
წლებს ვითვლი,
ვერც ვითვლი, —
ორი საუკუნე
გახარჯულა თითქმის,
როს წინაპარს ჩემსას
მართლაც უჯაფნია,
გზა-გზა
ეკალ-ბარდი
ხელით უკაფია;
ცნობილია — მეფემ
(მძლე, პატარა კახმა)
იმ დროს საგანგებოდ
ინდოეთს ახლა.
საიდუმლოდ დარჩა
დავალება მეფის;
იწვალა და იტანჯა
გზაზე ელვა-მეხით,
ხვატის ღველფით,
ლეშხით,
მოდიოდა მადრასისკენ
აქლემით თუ ფეხით...
როს მადრასში ჩამოსულა,
როს ამ ქალაქს სწვევია,
დღიურებში საგანგებოდ
ასე ჩაუწერია:
„პატარაა ეს ქალაქი
მუსულმანთა,
ქრისტიანთა,
მთელი წელი
მზე დაჰნათის;
მზე — მბუგველი
და კიანთა!
რაღაც ფოთოლს ღეჭავენ და...
ფანი ჰქვია მათებურად,
ხელი ვახლე,
წვენი მისი
სისხლისფერად მომესხურა.
აქაურებს ტანთ არ მოსავთ,
კაცებს თავზე ჩალმა ხურავთ!"

ჩემი წინაპარი
აქ მოსულა, როცა
ივერიის ხსნისათვის
ცას სწვდებოდა ლოცვა!
ივერიის ბედისთვის —
ქართლში დიდ-პატარა,
როგორც კაცი ერთი,
ფეხზე ამდგარა!
ჩემო წინაპარო,
პაპის პაპის პაპავ,
კაცს კი არა, გეტყვი,
უფრო ჰგავხარ ზღაპარს.
მართლაც რამ გადაგრია,
ეს რა გაგიბედნია.
როგორ,
როგორ გადარჩი,
ყველაფერი ბედია!
რამდენ ყაჩაღს, მეკობრეს
დააღწიე თავი და...
შენზე მართალ სიმღერას
დავწერ ისევ თავიდან...
შე, პირველო ქართველო —
თამილანდის სტუმარო,
ჩვენთა გენის ხმაურო
სისხლო,
ფერო, უნარო!
ასგზის გამკვირვებია
სირაინდე შენი,
ნდობა
მიზნის,
რწმენის.
მეფის,
ერის!
ენის!
იქნებ გვითხრა, გაგვანდო
აქ ჩამოსვლის მისია,
მაგრამ, ვაი, ჩვენს შორის
ორასი წლის ნისლია!
გიხსენებ და ვამაყობ
თავს გიხრი და...
დასტურ, რომ
მამულისთვის ქართველმა
ზღვებიც უნდა გასცუროს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აისი

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 9

# მეგობრობა ხიდია მშვიდობისაკენ

სკოლის ეზოში ლამაზი ბაღი შრიალებს. ბაღს „მეგობრობა“ ჰქვია. აქ ხარობს უკრაინული ყაყაჩო, მოლდავური ვარდი, რუსული შოთხვი, ქართული გვირილა... ეს ბაღი ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის — „წითელი ყაყაჩოების“ წევრებმა მეგობრებისაგან გამოგზავნილი ყვავილების თესლებითა და ნერგებით გააშენეს.

უკვე ათ წელს ითვლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი. ამ ხნის განმავლობაში უცვლელი ხელმძღვანელი ჰყავს მას—რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მერი ხოსიტაშვილი.

კლუბში რამდენიმე სექცია მუშაობს.

კარგა ხანია, დავუმეგობრდით კიევის ოლქის სოფელ ოპაჩიჩის სკოლის, ქ. პრიპიატის სამხედრო-პატრიოტულ გაერთიანება „წითელი მიხაკის“, მოლდავეთის სსრ სოფელ პეტრუნიას, რიგის, მოსკოვის, სომხეთის სსრ ქალაქ რაზდანის, ტაშკენტის, თურქმენეთის სსრ ქალაქ ჩარჯოუს, ყირგიზეთის სსრ დაბა ნოვოვოზნესენსკის, ტაჯიკეთის სსრ ქალაქ ხოროგის, ყაზახეთის სსრ ქალაქ კოკჩეტავის, ლენინგრადის, ნოვოსიბირსკის და სხვა მრავალი ქალაქისა და სოფლის სკოლების ინტერკლუბებს.

განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით არის აღსავსე ჩვენი ბარათები, რომლებიც მიემართებიან ბელადის სამშობლოსაკენ — ქალაქ ულიანოვსკისაკენ. №1 საშუალო სკოლის ინტერკლუბი „მერიდიანიც“ ვ. ი. ლენინის სახელს ატარებს.

მეგობრობა გვაკავშირებს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის უიკერის სკოლასთან, ვამყარებთ მეგობრულ ურთიერთობას გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, კუბის, პოლონეთისა და ბულგარეთის სკოლებთან.

მეგობრებთან საქმიანი მიმოწერა გვაქვს, ხშირად ვუგზავნით მათ საქართველოს ხედებს, ქართულ ანბანსა და წიგნებს, სუვენირებს.

ინტერკლუბის ბურჯია წითელკვალმაძიებელთა შტაბი. წითელკვალმაძიებლებმა დაიწყეს ძიება იმ 403 ვაჟკაცის საფლავისა, რომლებიც ჩვენი სოფლიდან სამამულო ომში წავიდნენ და არ დაბრუნებულან. უკვე აღმოვაჩინეთ რვა მეომრის საფლავი: კიევის, სმოლენსკის, ხმელნიცკის, ყირიმის ოლქებში, კრასნოდარის მხარეში.

განსაკუთრებით გაგვახარა საბჭოთა კავშირის გმირის ვლადიმერ ბეროშვილის საფლავის აღმოჩენამ: ჩვენი რაზმეული მისი სახელობისაა. გმირი უკრაინის მიწაში განისვენებს. წითელკვალმაძიებლებმა ორჯერ ინახულეს მისი საფლავი კიევის ოლქის სოფ. ოპაჩიჩში.

„ნაირფერყელსახვევიანთა“ სექციის წევრები საზღვარგარეთელ თანატოლთა ცხოვრებას სწავლობენ, გულდასმით ეცნობიან უცხოელი მეგობრებისაგან მიღებულ მასალებს, აწყობენ გამოფენებს.

მოძმე რესპუბლიკების სექციაში შემავალი მოსწავლეები ეცნობიან მოძმე რესპუბლიკების მოსწავლეთა ცხოვრებას.

„წითელი ყაყაჩოები“ აქტიურად მუშაობენ ზვარ-მინდვრებში. ზაფხულობით ჩვენთან სტუმრად რუსი მეგობრები ჩამოდიან — თბილისის 102-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები. ჩვენ ხშირად ერთ ნაკვეთზე გვიწევს მუშაობა. ამ დროს ყალიბდება და მტკიცდება ჩვენი ინტერნაციონალური მეგობრობა.

პიონერული ორგანიზაციის 60 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი ზეიმის დროს, რომელიც გურჯაანში გაიმართა, მხარდამხარ მეგობრულად მოაბიჯებდნენ ჩვენი ინტერკლუბის წარმომადგენლები — ქართულ, რუსულ, უკრაინულ, მოლდავურ, უზბეკურ, ლიტვურ, აზერბაიჯანულ, სომხურ, ლატვიურ, ესტონურ, თურქმენულ, ყირგიზულ, ტაჯიკურ, ყაზახურ, ბელორუსულ ეროვნულ კოსტიუმებში გამოწყობილი მოსწავლეები მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების გერბებითა და დროშებით.

„წითელი ყაყაჩოების“ სექციებში აქტიურად მუშაობენ მოსწავლეები: ნ. მამულაშვილი, ან. ღვდელაძე, ნ. ღოლენჯაშვილი, გ. და მ. ხელაშვილები, ნ. ბეროშვილი, ნ. ბედენაშვილი, ლ. ჩახვაშვილი, ა. ნიკოლაშვილი, ნ. ტურიაშვილი, ე. ღლიღვაშვილი, ნ. მარტაშვილი და სხვები.

საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავს „წითელი ყაყაჩოები“ შრომაში, სწავლაში მოპოვებული წარმატებებით შეხვდებიან. დიადი სამშობლოს იუბილეს აღსანიშნავად გავაშენებთ ბაღს არყისა და სხვა ხეებისაგან, რომელთა რაოდენობა 60 იქნება.

ბესიკ შაკიაშვილი,
გურჯაანი, კარდანახის საშუალო სკოლა, IX კლასი.

# წოდებას შევინარჩუნებთ!

ჩვენი რაზმეულის IV რაზმი მარჯვენაფლანგელია. ჩემი რაზმი ზ. რუხაძის სახელს ატარებს. იმ მიზნით, რომ ეს საპატიო სახელი მოგვეპოვებინა, დაწვრილებით შევისწავლეთ ზ. რუხაძის ბიოგრაფია. კლასის დრამწრემ დადგა ი. ნონეშვილის „ამბავი ერთი ქალიშვილისა“. რაზმის ყველა წევრი აქტიურადაა ჩაბმული პიონერულ საქმიანობაში. ჩვენთან არ არიან ე. წ. „რიგითი პიონერები“, ყველა ჩაბმულია ოპერაციებში: „მზე“, „თეთრი ფარი“, „შავი საბადო“, „მატიანის ფურცლები“, „შუქურა“...

რგოლებს შორის გავმართეთ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიბრი დევიზით — „ძირს ორიანი!“ მხარი ავუბით რუსთაველთა თაოსნობას — „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით“.

კომკავშირის 32-ე ყრილობას 4 ტ ჯართისა და 500 კგ მაკულატურის შეგროვება ვუპატაკეთ. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ რაზმმა მარჯვენაფლანგელის საპატიო წოდება შეინარჩუნოს.

ელისო კილაძე,
ქუთაისი, 29-ე საშუალო სკოლა,
ზ. რუხაძის სახ. IV რაზმი.

# ჩვენი შემოქმედება

**ამას წინათ კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტმა, ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ და მოსწავლეთა მხატვრული აღზრდის სახლმა მოაწყვეს ლიტერატურულ-შემოქმედებითი კონკურსი. ვბეჭდავთ კონკურსის მონაწილეთა ლექსებს.**

## მეგობრებს

მე მეგონა, როგორმე გავძლებდი
უთქვენოდ.
მაგრამ არა.
თქვენი იმედის გარეშე
მე კარებგაღებულ ცარიელ გალიას
ვგავარ,
რომელსაც ჩიტები სჭირდება,
და თანაც როგორ!

თამარ ლებანიძე,
თბილისი, 130-ე საშუალო
სკოლა, IX კლასი.

●

იმ საცოდავმა ლობის ძირში
ამოხეთქა
და იზრდებოდა
ყველასაგან შეუმჩნევლად
ჩუმი იყო და
ძალიან ნელა იზრდებოდა
შებორკილი ნუხილისაგან.
ერთხელ, ვილაც წითურმა ბიჭმა,
ლობეზე რომ აპირებდა
გადაძვრომას,
უნებურად ფეხი დაადგა...
არ გადამტყდარა,
მხოლოდ მიწას აკოცა და
ისევ ადგა.
იმის შემდეგ აღარ გაზრდილა —
იდგა გამხმარი და ცოცხლობდა.
ერთხელ ვილაც წითურმა კაცმა,
ლობეზე რომ გადმოძვრა,
მძიმე ფეხი დააბიჯა და
წავიდა...
ძირში გადატყდა,
გადატყდა და აღარ ამდგარა.
ცოტა ხნის შემდეგ ლობის ძირში
სხვამ ამოხეთქა...

დავით ბარბაქაძე,
თბილისი, 117-ე საშუალო
სკოლა, IX კლასი.

## იცი, რა მიყვარს?

იცი, რა მიყვარს, დედა?
ყაყაჩოების ველი,
ღიღილოების ყანა,
ჭიამაია ჭრელი.
იცი, რა მიყვარს, დედა?
ნისლგადაყრილი მთები,
გრილი, შხაპუნა წვიმა,
გზები, ლამაზი გზები.
კიდევ რა მიყვარს, იცი?
მდინარეები ჩქარი,
ცისარტყელების ფერით
აქაფებული წყალი,
მიყვარს ზეცა და მიწა,
მიყვარს ჩიტი და ხარი.
მე ყველაფერი მიყვარს
რაც ჩემი ქვეყნის არი.

მზია ილურიძე,
თბილისი, 46-ე საშუალო
სკოლა, IX კლასი.

## კომკავშირს

დღე გამარჯვების დაგიდგა,
ფოლადივით ხარ ნაჭედი,
რა სიმაღლეზე ანათებ,
მაღლა კოსმოსშიც ახვედი.

ფუძე ძლიერი გქონია
და მხრებიც მიტომ გაშალე,
არ შეუშინდი სიძნელეს,
ყამირი მიწა აშალე.

აშალე, აახმიანე,
აახმაურე ველები.
ქვეყანა გააცისკროვნე
შენი ძლიერი ხელებით.

აშენებ, იბრძვი, აშენებ,
ცას გასწვდა შენი ხელები,
ჩვენც შენს რიგებში მიგვიღე.
პატარა პიონერები.

ნანა მეხი,
თბილისი, მე-60 საშუალო
სკოლა, VIII კლასი.

## სულელი თაგვის არაკი

სათაგურთან მიცუნცულდა
ერთხელ ცელქი თაგუნა,
და რას ხედავს, — სათაგურში
ფისუნია გაბმულა.

გაიცინა თაგუნამ:
მეგობარო კატაო,
როგორ გქონდა გუშინწინ
ჩემი შეჭმის მადაო! —

კატამ უთხრა ნაზი ხმით:
უტკბილესო ძამია,
სათაგური გამიღე,
მხოლოდ ერთი წამია;

ოღონდ კარი გამიღე,
ვფიცავ იმ ჩემს შვილსაო,
პირს არ ვახლებ არასდროს
შენს მოდგმას და ჯიშსაო.

შეცდა ჩვენი თაგუნა,
გამოაღო კარიო,
გამოვარდა ფისო და
წააგლიჯა თავიო.

ნინო ლეონიძე,
თბილისი, 22-ე საშუალო
სკოლა, VIII კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მთების სიყვარულით ხმობილნი

მანანა გელაშვილი

სუსტსა და უგერგილოს, მხდალს, უნებისყოფოსა და ღალატიანს მთა არ გაიკარებს. ეს კარგად იცის იმ 152-მა გოგო-ბიჭმა, მთების სიყვარულმა რომ მოიყვანა თბილისის განათლების სამმართველოს მოზარდთა მთასვლურ სკოლაში. ამიტომაც ეუფლებიან ისინი ასე გულმოდგინედ ალპინიზმის ტექნიკას, ამიტომ იწრთობენ სხეულს, ნებისყოფას, ხასიათს, იმუშავებენ ურთიერთგატანის, სიძნელეთა გადალახვისა და შიშის დაძლევის უნარს, გამძლეობას, სიმტკიცეს, საზრიანობას, ამტანობას. სწორედ ამგვარი — გაბედული, ფიზიკურად და სულიერად ძლიერი, ამტანი, ამხანაგისთვის საიმედო უნდა იყოს მთამსვლელი, რამეთუ მხოლოდ ასეთებს ძალუძთ მწვერვალთა დაპყრობა. აკი ასეთი იყო ყველა ის, ვის სახელთანაცაა დაკავშირებული ქართული და, საერთოდ, საბჭოთა ალპინიზმის ჩასახვა-განვითარების ისტორია. ასეთები არიან ისინი, ვინც, მთების ძახილით ხმობილნი, დაუოკებლად მიიწევენ ახალ-ახალი მწვერვალების დასალაშქრავად.

1923 წელს ქართველ ახალგაზრდათა ჯგუფმა, რომლის უმეტესობასაც თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები შეადგენდნენ, პროფესორ გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით დაიპყრო ყაზბეგი და თუმცა ცნობილია, რომ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ავიდა იმავე ყაზბეგზე მოხევე იოსები, სწორედ ეს წელია მიჩნეული ქართული და საბჭოთა ალპინიზმის ჩასახვის წლად. ამ ხნიდან მოყოლებული მრავალი სასახელო ფურცელი ჩაწერეს ჩვენმა მთამსვლელებმა ალპინიზმის განვითარების ისტორიაში, მრავალი მწვერვალი დაიმორჩილეს, მრავალი მიუვალი სიმაღლე აიღეს.

მთასვლურ სკოლაში კი დღეს ისინი მეცადინეობენ, ვინც ხვალ სახელოვან წინამორბედთა მიერ მოხვეჭილი წარმატება და გამარჯვება კიდევ და კიდევ უნდა ამრავლონ.

— ჩვენს სკოლაში მიღების პირველი პირობა, — გვიყვება სკოლის დირექტორი ნოდარ კანკავა, — გახლავთ კარგი სწავლა და ფიზიკური სიმრთელე. მეცადინეობა ტარდება კვირაში ოთხჯერ. აქედან სამი დღე ეთმობა პრაქტიკულ მეცადინეობას, ერთი კი — თეორიულს. პრაქტიკული მეცადინეობისას, რომელიც, როგორც წესი, ლეღვთახევში, არმაზისხევსა და ბირთვისის მიდამოებში მიმდინარეობს ხოლმე, ბავშვები ძირითადად ალპინისტურ ტექნიკას ეუფლებიან, სწავლობენ აღჭურვილობის გამოყენებას, კლდეზე ცოცვას...

მოზარდთა მთასვლური სკოლის აღსაზრდელები კლდეზე ცოცვაში საქართველოს ნაკრების ბირთვს შეადგენენ და მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევენ სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებაში. ბევრმა, იქნებ, არც კი იცის, რა დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს კლდეზე ცოცვას. ძალზე გაუჭირდებოდათ ენგურჰესის მშენებლებს, კლდეზე მცოცავები რომ არ დახმარებოდნენ, არც ჩვენი სატელევიზიო ანძა იქნებოდა ასეთი კოპწია და ლაზათიანი მათი მონაწილეობის გარეშე, არც მეტეხის კლდეები იქნებოდა ასე საამოდ სამზერი, კლდეზე მცოცავები რომ არ ასუფთავებდნენ მათ.

თეორიულ მეცადინეობებზე ყმაწვილები სწავლობენ ისტორიასა და გეოგრაფიას, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ალპინიზმთან დაკავშირებით. ჩვენი მუშაობის, ასე ვთქვათ, შემაჯამებელ ეტაპს წარმოადგენს მეცადინეობები, რომლებსაც ყოველ ზაფხულს შეკრების სახით ვატარებთ უმეტესწილად ყაზბეგის რაიონში.

ზაფხულობით დევდორაკის წარმტაცი ხეობის ფერთა სიმრავლეს მოზარდთა მთასვლური სკოლის ბანაკის კარავთა ნარინჯისფერი და ლურჯი შეერთვის და ახალისებს ხოლმე. გოგო-ბიჭებს ჟრიამული გამოაღვიძებს არემარეს, მერე კი მწვერვალების — გორისა და ყუროს რინდსაც დაარღვევს და მომავალი ალპინისტები მათ მოელვარე სითეთრეს შეებმებიან. სწორედ ეს ორი მწვერვალია შერჩეული ნორჩი მთამსვლელების გამოსაცდელად, აქ გამოჩნდება ხოლმე თითოეული მათგანის ავ-კარგი, ნაკლოვანება-მიღწევა, აქ ეზიარებიან ხოლმე ყმაწვილები პირველი სიმაღლის აღების განუმეორებელ სიხარულსა და მთის გოროზ სიმშვენიერეს.

მაგრამ მხოლოდ უშუალოდ სპორტული მეცადინეობა როდი შეადგენს ბანაკის ცხოვრებას. ბავშვები რე-

კლდეზე თოკით ასვლის გაკვეთილზე.

ნორჩი მთამსვლელები მდინარეზე გადასვლის ხერხებს ეუფლებიან.

ახლა შესვენებაა, სულ მალე ფრიალოებს შეუტევენ.





გულარულად უშვებენ საველე გაზეთს, თავადვე იღებენ კინოფილმებს, ფოტოებს, ისინი ხომ პოპულარული კონკურსის — „მთები და ადამიანები“ მუდმივი მონაწილენი არიან, გარდა ამისა, ტარდება სპარტაკიადა მძლეოსნობასა და სპორტის ტურისტულ სახეობებში.

— ჩვენი საზამთრო შეკრებები კი, როგორც წესი, ბაკურიანში ტარდება. მთამსვლელმა აუცილებლად უნდა იცოდეს თხილამურებზე დგომა-სრიალი...

ბაკურიანში ნორჩი მთამსვლელები სულ ათ-თორმეტ დღეს ატარებენ, მაგრამ ეს მოკლე დროც სავსებით საკმარისია გასაკაჟებლად, გასახალისებლად და გარკვეული გამოცდილების შესაძენად. სპარტაკიადა აქაც ტარდება ხოლმე, ოღონდ, რა თქმა უნდა, უკვე სპორტის ზამთრის სახეობებში. გარდა სლალომისა და სწრაფდაშვებისა, ბავშვები გუნდის ტყორცნასა და საუკეთესო თოვლის პაპის გაკეთებაშიც ეჯიბრებიან ერთმანეთს, ატარებენ კონკურსს საუკეთესო საველე გაზეთის გამოსავლენადაც.

ოცი წელია, არსებობს თბილისის განათლების სამმართველოს მოზარდთა მთასვლური სკოლა. მრავალმა მთამსვლელმა აიდგა ამ ხნის განმავლობაში აქ ფეხი. მრავალმა სამუდამოდ შეიყვარა და გაითავისა მთა. სკოლაში სიამოვნებით ღებულობენ ყველას, დაწყებული 13-14 წლის ასაკიდან, ვისაც მწვერვალების დასალაშქრავად მიუწევს გული. სიამოვნებით უწყობენ მათ ხელს სხეულის გაკაჟებაში, ხასიათისა და ნებისყოფის გამოწრთობაში მცოდნე და გამოცდილი ინსტრუქტორები: შალვა ავსაჯანიშვილი, თამარ ქიტუაშვილი, მურმან კომახიძე, ნუგზარ დიდებულიძე, შალვა კვერნაძე და სხვები.

მთების სიყვარულმა, ფიზიკური გაკაჟებისა და სიძნელეთა გადალახვის უნარის გამომუშავების სურვილმა აარჩევინა სპორტის ეს სახეობა ამ გოგო-ბიჭებს. ამ სიყვარულმა მოიყვანა თბილისის განათლების სამმართველოს მთასვლურ სკოლაში ზურაბ ქიტუაშვილი, კობა ამბარდანაშვილი, ნინიკო და მიშიკო სულხანიშვილები, ლია ყამარაული, ნაზი ელერდაშვილი და მრავალი მათი თანატოლი. და გვწამს, რომ კიდევ მრავალს მოიყვანს აქ ეს სიყვარული და ეს სურვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თეთრი ლობიოს კონსერვი

ჰანს კრაუზე

მხატვარი
ირინა ბარანოვა

მაისის ერთ მშვენიერ დღეს ჩემი ამხანაგი ემილი მეწვია და მომახარა, ჩვენი სკოლა კვირას ექსკურსიას აწყობს ქალაქგარეთო. ტყეში სადილი ჩვენ თვითონ უნდა მოვამზადოთ, ჯგუფებში ორი-სამი ბავშვი ერთიანდება, ვინც უკეთეს სადილს მოამზადებს, გამარჯვებულიც ის იქნებაო.

— გეხერხება მზარეულობა? — ვკითხე ემილს.

— ნეტავი შენ! გოგო ხომ არა ვარ, ხარშვა და ცხობა რა ბიჭების საქმეა! სახლში დედა გვიმზადებს საჭმელებს, მამაჩემი ასეთ საქმეებში არ ერევა.

სკოლაში ყველანი ექსკურსიაზე ლაპარაკობდნენ, განსაკუთრებით გოგონები. ბრიგიტა და ჰანეროლე შოკოლადის პუდინგის გაკეთებას აპირებდნენ. ბიჭებიც რაღაც რეცეპტებს ჩაკირკიტებდნენ.

— ჩვენ კარტოფილის წვნიანს მოვამზადებთ, — განაცხადა ვოლფგანგმა. მერე მე და ემილს მოგვიბრუნდა:

— თქვენ რას აპირებთ?

ვერაფერი ვუპასუხეთ.

გაკვეთილების შემდეგ დედამ შაქრის საყიდლად გამგზავნა. მაღაზია ქალებით იყო სავსე.

— მომეცით ეგ ხორცის კონსერვი! — მიმართა ერთმა მათგანმა გამყიდველს.

— ეს თეთრი ლობიოს ცხიმოვანი კონსერვია, ოღონდ გაცხელება უნდა და მშვენიერი სადილი გექნებათ, — უპასუხა გამყიდველმა.

უცებ ვიფიქრე, მოდი, ექსკურსიისათვის ვიყიდი-მეთქი.

ემილთან გავიქეცი:

— ემილ, სადილების მომზადებაში ჩვენც მივიღებთ მონაწილეობას და გავიმარჯვებთ კიდეც, — ვახარე. ჩემი გეგმა მასაც მოეწონა. მართლაც, ვიდრე სხვები ბოსტნეულისა და წვნიანის ხარშვაში იქნებოდნენ გართულნი, კონსერვს წუთში გავაცხელებდით და გეახლებოდით.

ფული შევაგროვეთ და ერთი კოლოფი ლობიოს კონსერვი შევიძინეთ.

მეორე დილას სკოლასთან შევიკრიბეთ. ემილს ჩანთით კონსერვი მოჰქონდა, მე კი — ძველი ქვაბი. გავიარეთ ველი, შევედით ტყეში და სიმღერა წამოვიწყეთ. მერე ერთი მდელო ამოვარჩიეთ, სადაც შეიძლებოდა შეჯიბრის მოწყობა.

მასწავლებელმა საათს დახედა.

— აბა, დავიწყოთ! — შესძახა მან.

მე და ემილმა ცეცხლის დანთება გადავწყვიტეთ, მაგრამ არ ვიცოდით, როგორ უნდა მოვქცეულიყავით და თითებით მიწის თხრას შევუდექით. უცებ დავინახეთ, რომ სხვები ფიჩხს მოარბენინებდნენ.

— შენ შეშა მოიტანე, მე კი კონსერვს გავხსნი, — მითხრა ემილმა.

გავიქეცი, მაგრამ მაშინვე მომაძახა

— ვერა ვხსნი, ჯიბის [illegible] დამრჩენია, შენი მომეცი.

მივაწოდე ჩემი თხელი დანა და შევბრუნდი, რომ ისევ შემაჩერა:

— აჰა, შენი კაპიკიანი დანაო, და გატეხილი დანა ფეხებთან მომიგდო.

— ახლა რითღა გავხსნათ?

— წადი, ბიჭებს გამოართვი!

ფრანცთან მივირბინე.

— მათხოვე რა, 5 წუთით შენი დანა!

კონსერვი ვერც ფრანცის ბლაგვი დანით გავხსენით.

სხვებს უკვე ცეცხლი აეგიზგიზებინათ და სახეები ასწითლებოდათ. ცოტა ხნის შემდეგ, როგორც იქნა, ცეცხლი გავაჩაღეთ.

ამ დროს მასწავლებელი დაგვადგა თავს. შეგვეშინდა, ვაითუ ეშმაკობა შეგვატყოს-მეთქი. ემილი კოლოფზე დაჯდა, მე კი ცარიელ ქვაბს ვტაცე ხელი და ცეცხლზე შევდგი.

— რას ხარშავთ?

— ეს ჩვენი საიდუმლოა, მასწავლებელო!

— დაუჩქარეთ, სხვები საცაა მორჩებიან, — გვითხრა და გაგვშორდა.

შვებით ამოვისუნთქეთ.

ემილმა ჯიბე მოიქექა და რაღაც ლურსმანი იპოვნა.

— მოდი, ამ ლურსმნით თუნუქის კოლოფი გავხვრიტოთ და ლობიო მარცვალ-მარცვალ ქვაბში ჩავყაროთ.

— ვაი, ქვაბი! — ვიყვირე და ცეცხლისკენ გავქანდი. უწყალოდ ქვაბი ისე გავარვარებულიყო, ხელი ვერ ვახლეთ, ემილმა ფეხი ჰკრა და გადააგორა.

ახლა ლობიოს კოლოფს მივუბრუნდით. ემილს მარცხენა ხელში ლურსმანი ეჭირა, მარჯვენაში — დიდი ქვა.

— აბა, სწრაფად! — ვაჩქარებდი ემილს, მაგრამ მას ლურსმანი ხელიდან გაუსხლტა და ბალახებში ჩაუვარდა. ვეძებეთ, ვეძებეთ, მაგრამ...

— ჩვენი მაკარონი უკვე მზად არის! — გაისმა გოგონების მხიარული ხმა. — ნახევარი კილო კიდევაც დაგვრჩა.

— გესმის, ემილ? ინგას და ტრუდეს ნახევარი კილო მაკარონი დარჩენიათ, მოდი, გამოვართვათ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოგვყიდეთ, რა, მაკარონი? — ვთხოვეთ გოგონებს.

— როგორ გეკადრებათ, გაჩუქებთ!

მაკარონი წამოვიღეთ, ქვაბი წყლით ავავსეთ და ცეცხლზე დავდგით, მაგრამ ცეცხლს რაღაც მოუვიდა, თანდათან მიილია.

— შეშა დაუმატე, — დავუძახე ემილს.

— აბა რას ვაკეთებ?! —გამიბრაზდა ემილი. — რა მოსდის ნეტავ?

ჩავხედეთ ქვაბს და რას ვხედავთ! — შიგ წყლის ნასახიც აღარ იყო: ქვაბს ნახვრეტი გასჩენოდა...

შეჯიბრი დამთავრდა. შუა მდელოზე შევგროვდით. ყველას გემრიელი საჭმელები მოემზადებინა: კარაქიანი მაკარონი, კარტოფილის წვნიანი, ხორცი, ბოსტნეული, პუდინგი... მზარეულები მადიანად მიირთმევდნენ თავიანთ ნახელავს.

მე და ემილიც იქვე ვისხედით და ვყვებოდით: ჩვენც კარტოფილის წვნიანი გავაკეთეთ, მაგრამ ისე გემრიელი იყო, რომ მაშინვე შემოგვეჭამა-თქო.

— ჩინებული მზარეულები ბრძანებულხართ! — იცინოდნენ ბავშვები, ჩვენ კი რა გვეხუმრებოდა — შიმშილით კუჭი გვიხმებოდა და სალერღელაშლილები შევცქეროდით, რა მადიანად სადილობდნენ სხვები.

— ვის შია, მაკარონზე გპატიჟებთ, — გაიძახოდნენ ტრუდე და ინგა.

— ნეტავ ჩვენც დაგვეწვეოდეს ვინმე პუდინგზე, — აჰყვა ბრიგიტა.

— აღარ შემიძლია, იმდენი კარტოფილის წვნიანი ვჭამე, — იცინოდა ვოლფგანგი.

ტრუდემ მაკარონი მოგვიტანა, მიირთვითო.

— გმადლობთ, ჩვენ საკმაოდ დავნაყრდით, — უპასუხა ემილმა.

— როგორც გინდათ, — გვითხრა და ქვაბი მაინც დაგვიტოვა.

ნასადილევს ბავშვებმა ჩრდილს შეაფარეს თავი. წყნარი საათი დაიწყო. მდელოზე მარტო მე და ემილი დავრჩით, მაკარონის ქვაბს თვალს ვერ ვაცილებდით.

— ე, ბიჭო, ყველას სძინავს, ვერავინ დაგვინახავს...

— მართალი ხარ, — მითხრა ემილმა, — თანაც მაკარონი პურივითაა. ცოდვაა მისი გადაგდება.

კოვზები მოვიმარჯვეთ და მშიერი მგლებივით ვეცით მაკარონს.

— რა გემრიელია, — ამბობდა პირგამოტენილი ემილი. — არა, ჩვენც უნდა ვისწავლოთ სადილების გაკეთება, ბიჭებისთვისაც აუცილებელია კულინარიის ცოდნა.

გერმანულიდან თარგმნა
ლამარა ძინძიბაძემ



## საინტერესო სიახლენი

### ხმაურმზომი

დასავლეთ გერმანიის ფირმა „ხიმენხმა" შექმნა ავტომატური ხმაურმზომი სადგური. ქალაქის ნებისმიერ ადგილას დადგმული ეს ავტომატი ათმეტრიან ანძაზე მოთავსებული მიკროფონის დახმარებით პერიოდულად ზომავს ხმაურის დონეს. იმისათვის, რათა ქალაქის ხმაურისაგან გამოაცალკეონ ქარის ან წვიმის ხმა, სადგურში დამონტაჟებულია მეტეოროლოგიური ხელსაწყოები — თვითჩამწერებით აღჭურვილი ანემომეტრი და წვიმსაზომი.

ავტომატური სადგურის დაკვირვებები საშუალებას იძლევა შეიქმნას ქალაქის „ხმაურის რუკა" და გატარდეს ხმაურსაწინააღმდეგო ღონისძიებები.

### ავადმყოფის მიუკარებლად

პოლონეთის ქალაქ პოზნანის სამედიცინო აპარატების შემკეთებელმა ქარხანამ დაიწყო ისეთი თერმომეტრის გამოშვება, რომელიც ავადმყოფს რამდენიმე მეტრის მანძილიდან უზომავს ტემპერატურას. ეს ხელსაწყო პაციენტის კანიდან გამოყოფილი ინფრაწითელი სხივების მეშვეობით გაიანგარიშებს ტემპერატურას და მას ციფრების ტაბლოზე გამოსახავს. ამ მანიპულაციას სულ ორიოდე წამი სჭირდება. მედდას პალატის კარიდანვე შეუძლია თერმომეტრი თითოეულ ავადმყოფს მიუშვიროს და მათი ტემპერატურა განსაზღვროს.

### ყველაზე დიდი ავტობუსი ყველაზე დიდი აეროპორტისათვის

ეს ავტობუსი დასავლეთგერმანულმა ფირმამ „ნეოპლანმა" საუდის არაბეთის დაკვეთით დაამზადა ჯედის ახალი აეროპორტისათვის, რომელსაც ასი ჰექტარი ფართობი უჭირავს. ავტობუსს მგზავრები ავიალაინერებთან მიჰყავს, ამასთან მისი ორსართულიანი სალონის ტევადობა ისეა გაანგარიშებული, რომ ერთი რეისით გაავსოს ყველაზე დიდი „ბოინგი". ავტობუსში 842 ადგილიდან 150 — დასაჯდომია. მისი სიგრძე 18 მეტრია, სიგანე — 4,5, სიმაღლე — 4,6 მეტრი, იწონის 27 ტონას, დიზელის სიმძლავრე 352 ცხენის ძალაა, სიჩქარე — 55 კილომეტრი საათში.

### მანქანა, რომელიც ხმამაღლა კითხულობს

ავსტრალიაში გამოიგონეს მანქანა, რომელიც ხმამაღლა კითხულობს სტამბაში აწყობილ ან საწერ მანქანაზე დაბეჭდილ ტექსტს ინგლისურ ენაზე.

ბუნების კარი

# ცოცხალი არქიტექტურის სამყაროში

ოდესმე თუ გიცდიათ შეგეხედათ გარემო-ბუნებისათვის არქიტექტორის ან ინჟინერ-კონსტრუქტორის თვალით? დააკვირდით ტიტას შეზნექილი გვირგვინის ფურცელს. სწორედ ამ შეზნექილობის წყალობით უძლებს იგი წვიმის წვეთების დარტყმასა და მასზე ჩამომსხდარი მსხვილი მწერების სიმძიმეს. ფილმებით ალბათ გინახავთ, ზოგს კი საკუთარი თვალითაც უხილავს ზღვის ჯურღმულების ბინადარნი: ზღვის ვარსკვლავები, ზღვის ზღარბები, რვაფეხები, მოლუსკები, და დაინტერესებულა, თუ როგორ უძლებენ ეს საკმაოდ ნაზი ორგანიზმები წყლის კოლოსალურ წნევას.

ცოცხალი ბუნება საუკეთესო მშენებელი, უდიდესი არქიტექტორია. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანმა არქიტექტურაში დიდ წარმატებას მიაღწია. ბუნების ხელოვნება კვლავ მის მასწავლებლად რჩება. და ეს არც არის გასაკვირი.

აგერ უკვე 500 მილიონი წელია, უწვრილესი და უმტკიცესი ძაფებისაგან ქსოვს ობობა თავისი ქსელის უმსუბუქეს კონსტრუქციებს. უკვე 50 მილიონი წელია, შრომისმოყვარე ფუტკრები აგროვებენ თაფლს და თავიანთ კოლექტიურ სახლებს აგებენ. ადამიანის განვითარება კი სულ 2-3 მილიონ წელს ითვლის, ხოლო მისი შეგნებული გეგმაზომიერი არქიტექტურული და ქალაქთმშენებლობითი საქმიანობა ხომ სულ ახლახან, — 6-7 ათასი წლის წინათ ჩაისახა.

არსებობისა და განვითარების 3 მილიარდი წლის განმავლობაში ბუნებამ უნიკალური კონსტრუქციები წარმოქმნა. მრავალფეროვანია ბუნების შემოქმედებით ნალვაწ ფორმათა ეს კონსტრუქციები და მასალები. ძალიან ძშირად ბუნებრივი სხეულები იდეალურად სიმეტრიულნი არიან. საკმარისია სიფრიფანა ფოთლის, პეპელას ან სხვა სხეულის ცენტრში გაავლოთ ვერტიკალური ხაზი, რომ აბსოლუტურად ერთნაირი ნახევრები მიიღოთ. ახლა რამდენი ფორმით სრულყოფილი ბუნებრივი ხრახნი აქვს ლოკოკინას ნიჟარას? ლეონარდო და ვინჩიმ იცოდა, რომ თუ ტოტზე ჯვარედინად განლაგებული ფოთლების ყუნწებს მრუდით შევაერთებთ, მივიღებთ იდეალურ სპირალს.

როგორც ტერმინ „მორფოლოგიის" ავტორი, გოეთე მრავალ საერთოს შენიშნავდა ცოცხალ ორგანიზმთა აგებულებაში და ოცნებობდა ორგანული სამყაროს ფორმის შესახებ მოძღვრების შექმნაზე. დღეს ასეთი მეცნიერებები უკვე არსებობს, ესენია: მორფოლოგია, გეომორფოლოგია, კრისტალოგრაფია.



ლოკოკინას ნიჟარა — სპირალური სიმეტრიის ნიმუში.

ბუნებას, როგორც გენიალურ არქიტექტორსა და მშენებელს, შემოქმედებითი ძიების ჟამს მუდმივად მიმართავდნენ კაცობრიობის უდიდესი მოაზროვნეები: ლეონარდო და ვინჩი, გალილეო გალილეი, ციოლკოვსკი და სხვები. თანამედროვე ტექნიკის ბაზაზე ცოცხალი ბუნების მიღწევების არქიტექტურაში გამოყენებას ხელი მოჰკიდა ახალმა



გვირილას ყვავილი — ბუნებრივი (რადიალური) სიმეტრიის ნიმუში.

მეცნიერულმა მიმდინარეობამ. იგი წარმოიშვა საბჭოთა კავშირში და ცნობილია არქიტექტურული ბიონიკის სახელით.

ცნობილმა გერმანელმა არქიტექტორმა კურტ ზიგელმა ასეთი ცდა ჩაატარა: საწერი ქაღალდი ჯერ ორ საყრდენზე დადო. ქაღალდი გაილუნა და საყრდენები გამოეშალა; შემდეგ იმავე ქაღალდს ვარცლის ფორმა მისცა. ქაღალდი არც გაილუნა და არც საყრდენები გამოეშალა. პირიქით, ზემოდან დადებულ მცირეოდენ ტვირთსაც გაუძლო. შემდეგ ექსპერიმენტატორმა იგივე ქაღალდი გარკვეული სისტემით სამკუთხედად, ექვსკუთხედად და რომბად დახაზა და ამ ხაზებზე გადაკეცა. ამ გზით ზიგელმა კიდევ უფრო მაგარი მრუდხაზოვანი ზედაპირი — ცილინდრი, გუმბათი და თაღი მიიღო.

რისი მეოხებით ხდებიან კონსტრუქციები გამძლენი? რა თქმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა, ფორმათა გეომეტრიის მეოხებით. დააკვირდით ცოცხალ ბუნებას. მასში ხომ იშვიათია ბრტყელი ფორმები. ხეთა მთავარი ძარღვის მიმართ დაზნექილი გვირგვინის ფურცლები, მოლუსკების, ბარდის დახვეული ნიჟარები და ულვაშები... ყველა ჩამოთვლილი ფორმა ცოცხალ ბუნებას სივრცეში გამძლეობას და დამატებით სიმტკიცეს ანიჭებს.

ამგვარად, ბუნება ზედმეტი სამშენებლო მასალის დაუხარჯავად ქმნის საჭირო ფორმებს. რა სახით შეიძლებოდა ამ გამოცდილების გამოყენება არქიტექტურაში?

ახლა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ბევრი დიდი ზომის ნაგებობა შენდება სახურავის საყრდენი მრავალრიცხოვანი კოლონის გარეშე. საილუსტრაციოდ იკმარებდა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობანიც — სპორტის სასახლე და კონსოლური ქოლგით ნახევრადგადახურული, განსაცვიფრებელი სიმსუბუქის „დინამოს“ სტადიონი. მსგავს ნაგებობებში საყრდენ წერტილებს შორის მანძილი დიდია და ზოგჯერ 200-300 მეტრსაც შეადგენს. მაგალითად, პარიზში აგებული გრანდიოზული ნაგამოფენო პავილიონის ყვავილის ფურცლის მსგავსი სახურავი უსაყრდენოდ ეფარება 216 მეტრ სივრცეს. იშვიათ საყრდენიანი დიდი ზომის ნაგებობათა მშენებლობის მთავარი პირობაა სიმსუბუქე. რაც უფრო მეტია ნაგებობის სივრცე, მით უფრო მსუბუქი უნდა იყოს მისი თითოეული კვადრატული მეტრი. ძველ არქიტექტურაში კი პირიქით იყო: რაც უფრო მეტი იყო გუმბათის სივრცე, მით უფრო მასიური უნდა ყოფილიყო თვით გუმბათი და მხოლოდ გარეგნული ხერხებით უნდა მიენიჭებინათ მისთვის ვიზუალური სიმსუბუქე.

დასასრული შემდეგ ნომერში

არნ. გეგეჭკორი,
ბიოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი.

## გიორგი მეთექაური



### გზა-ნათელო

გზა-ნათელო, ცა-ნათელო,
საფიცარო საქართველოვ,
მზის სხივებით განაბანი
მიყვარს შენი მთა და ბარი;
მიყვარს შენი მდელოები,
შენთა ხეთა ჩეროები,
ქალები და ახოები,
გმირთა სამოსახლოები,
მარად სანეტაროები
ღელეები, წყაროები;
მიყვარს, მიყვარს ეს ბაღები,
ყანები და ვენახები,
გულმკერდგადაღეღილები
შენი მწვანე ხეხილები,
შენი წმინდა ალაგები
სოფლები და ქალაქები,
შენი მიწა სალოცავი,
ღალიანი, საოცარი,
შენი ლურჯი ლაჟვარდები,
ოქროს ფუნჯით ნახატები!



### მუყაითი ბიჭი

არდადეგები დაიწყო,
შენც მიაშურე სოფელს,
ამ სოფელს მაღალ მთებიდან
მზე ოქროს სხივებს მოჰფენს.
გაღმიდან სოფელს ჭიუხი,
როგორც გუშაგი, უმზერს,
ამ სოფელს ლორთქო ტყის სიო
ელამუნება გულზე.
ამ სოფელს წყარო წკრიალა
ეალერსება მღერით,
ამ სოფელს ტკბილად შეჰხარის
ბალახის თოთო ღერიც.
ამ სოფელს ამკობს, ამშვენებს
მშრომელის გამრჯე ხელი.
და შენც უსაქმოდ არასდროს
არ გაჩერდები, არა,
თოხი გიჭირავს, — თოხნი.
ბარი გიჭირავს, — ბარავ,
სადაც შრომობენ. იქა ხარ.
გარჯა სულაც არ გიჭირს
და უხარია მთელ სოფელს —
ხარ მუყაითი ბიჭი.



### ტყე

რა კარგია, მაისში
ტყე რომ გაიჩირთება,
მაშინ ამღერებული
ხელში ფუნჯი გჭირდება;
მაშინ საუკეთესო
გინდა ფერი ცინცხალი,
რათა ეს ტყე დახატო.
ცასთან შენაფიცარი.
ნაძვები და ფიჭვები,
წიფლები და რცხილები,
ლაღად წამოშლილები,
სასიამო ჩრდილებით,
ისე უნდა დახატო,
ვიგრძნოთ მათი სურნელიც,
და ვიქნებით ყოველთვის
ტყის სიკეთის მსურველნი.



# დიდი და კეთილი მზე

მიხეილ ჩაჩუა

მოთხრობა

გიგას ვეებერთელა წითელი ვაშლი უჭირავს ხელში.

— ჩემი და ჩემი დისია! ჩემი და ჩემი ძმისია! — დახტის და გაიძახის, მაგრამ, ჰაუ, რამდენი და-ძმა ჰყოლია!

მე ვარ შენი და!

მე ვარ შენი ძმა! — დახტიან და გაიძახიან მთელი დედამიწის ბავშვები.

რა ქნას გიგამ, ერთი ვაშლი როგორ გაუნაწილოს ყველას? არადა, არ უნდა ვინმეს გული დაწყვიტოს. რა კარგი იქნებოდა, მეორე ასეთი ვაშლიც რომ ჰქონდეს!..

— საქმეც ის არის, ერთი ვაშლი ვიჟმაროთ ყველამ, — ისე თქვა ერთმა ბუთხუზამ, თითქოს გიგას სათქმელს მიუხვდაო.

— მაშინ მოდი და ჯერ შენ ჩაკბიჩე, — უთხრა გიგამ.

— არა, რას ამბობ! ჯერ შენ, — იუარა ბუთხუზამ. გიგა არ მოეშვა, მაგრამ ბუთხუზამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: სხვაზე უწინ მე რატომ უნდა ჩავკბიჩოო.

— აქ სხვა არავინ არის, ყველანი ერთნი ვართ! — განაწყენდა შავტუხა ბიჭი.

— მაშინ ჯერ შენ ჩაკბიჩე, — უთხრა ბუთხუზამ შავტუხას.

— არავითარ შემთხვევაში! ჯერ ამან, ან იმან და მერე ვნახოთ, — უპასუხა შავტუხამ. მაგრამ არც „ამან“ ჩაკბიჩა და არც „იმან“, ორივემ ასე თქვა: როგორ გეკადრებათო, ისეთი რამე არ გავაკეთოთ, უფროსებმა დაგვცინონო, გოგონები აქ არიან და პირველად ჩვენ, ვაჟებმა, რა გულით უნდა ჩავკბიჩოთო.

— არა უშავს, ბიჭებო, არა უშავს, — დაიწკრიალა ერთმა თვალხატულამ, — გოგონები და ვაჟები რამ გაგვყო, განა ჩვენ და-ძმანი არა ვართ? მაგრამ რაკი პირველად არავის უნდა ჩაკბიჩოს, კენჭი ვყაროთ.

თვალხატულას წინადადება ჭკუაში დაუჯდათ და კენჭიც ყარეს. ყარეს კენჭი და პირველად სწორედ იმ თვალხატულა გოგონას არ ხვდა ვაშლის ჩაკბეჩა!

თვალხატულა მიუახლოვდა გიგას, სულ ახლოს მივიდა და ჯერ გიგას შეხედა, მერე ვაშლს.

— რა ლამაზია! — თქვა გოგონამ და პატარა ტუჩები ვაშლის ლოყას შეახო, შეახო და კი არ უკბიჩა, ეამბორა. მერე ერთხელ კიდევ მორცხვად შეხედა გიგას, თვალმოურიდებლად რომ უყურებდა, და განზე გადგა. რა კარგი გოგონააო, — გაიფიქრა გიგამ და ძლივს მოსწყვიტა მზერა თვალხატულას, რომელიც თანატოლებში ისე მოჩანდა, როგორც გვირილებით მოჩითულ დიდ მინდორში აბდღვრიალებული ყაყაჩო.

ყველამ თვალხატულას მიბაძა: მიდიოდნენ ვაშლთან და კი არ კბეჩავდნენ, დაყნოსავდნენ და თითოჯერ ეამბორებოდნენ. ამითაც კმაყოფილდებოდნენ. ვაშლი კი, უთვალავი ბავშვის ამბორისგან, ორი იმხელა გახდა, ცოტაც და მზეს გაუტოლდებოდა სიდიდით.

გიგას უკვე აღარ შეეძლო ვაშლის ხელში დაკავება და ხელი უშვა, მაგრამ ვაშლი მიწაზე არ დავარდნილა, წითელი ბურთივით ჰაერში დაეკიდა. ახლა კი ყველას გვეყოფა ეს ვაშლიო, — გაიფიქრა გიგამ, მაგრამ... ამას რას ხედავს: ვაშლი მზედ ქცეულა და იმდენ სხივს აფრქვევს, [illegible]ნაბრად სწვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა კარგი მზეა, დიდი და კეთილი! — თქვა თვალხატულამ და მერე მთელი ხმით შესძახა:

— გაუმარჯოს ჩვენს მზეს!

— გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს! — დაიგუგუნეს მთელი დედამიწის ბავშვებმა.

— თქვენ გაგიმარჯოთ, ჩემო ძვირფასო შვილებო! — ახლა თავად მზემ გაიღო ხმა და ყველას სათითაოდ ეამბორა. დედის ალერსივით ეამა გიგას მზის ამბორი. ეტყობოდა, თვალხატულასაც ეამა, ბუთხუზასაც, შავტუხასაც — ყველას, ყველას, ყველას.

— მზე დედაა ჩვენი! გვიყვარდეს მზე! — ყველას გასაგონად თქვა გიგამ და მთელი დედამიწის ბავშვებმა ერთხმად დაიგუგუნეს:

— გვიყვარდეს!

— გვიყვარდეს!

— გვიყვარდეს!

— მაგრამ მზეს ვერ შევიყვარებთ, თუ ერთმანეთი არ გვეყვარება, — ვითომ თავისთვის ჩაილაპარაკა თვალხატულამ, მაგრამ გიგამაც გაიგონა და სხვამაც.

— მერედა, განა ჩვენ არ გვიყვარს ერთმანეთი? — თქვა გიგამ და თვალხატულას მიაჩერდა. გოგონამ თანხმობის ნიშნად თავი დახარა, სხვებმა კი შესძახეს:

— გვიყვარს!

— გვიყვარს!

— გვიყვარს!

გიგას სხვა არაფერი უნდოდა, ბედნიერი იყო: იყო დიდი და კეთილი მზე, იყო თვალხატულა გოგონა და მთელი დედამიწის ბავშვებიც გარს ეხვივნენ.

დილით, თვალები რომ გაახილა, დიდი და კეთილი მზე სასთუმალზე ეჯდა და დედასავით ეალერსებოდა. ამან კი გაახარა გიგა, მაგრამ გული იმან დასწყვიტა, რომ თვალხატულა აღარსად ჩანდა და არც მთელი დედამიწის ბავშვები ეხვივნენ გარს.

თურმე ყველაფერი სიზმარში არ ენახა?!



# დაუვიწყარი ხილვა

**კანჰაიალალ განდი**

თვითმფრინავი კარგა ხანია აეროდრომზე იდგა. ბინდდებოდა. მგზავრები პასპორტების შემოწმებას ელოდნენ. აეროპორტიდან ქალაქამდე სულ ორმოციოდე კილომეტრი თუ იქნებოდა. ავტობუსი სასტუმროს წინ გაჩერდა. ლამპიონები ყვითლად ანათებდა ქუჩებს.

საათმა ათი დარეკა, როცა სუდჰირი სასტუმროში შევიდა. დაღლილი იყო. ხშირად მოგზაურობდა და მგზავრობა ამჯერადაც ისევე მომქანცველი ეჩვენა, როგორც ყოველთვის.

ოთახის ფანჯარა დედაქალაქის ცენტრს გადაჰყურებდა. აქედან მკაფიოდ ჩანდა კრემლის ქონგურები, მანქანებით გაჭედილი ქუჩა და მოედანი. საკმაოდ ციოდა, მაგრამ მოსკოველები ამ სიცივეს აინუნშიც არ აგდებდნენ. სუდჰირის მზერა კრემლის კედელთან გაშენებულმა პატარა ბაღმა მიიპყრო. ბაღში კვარცხლბეკი შენიშნა, მის ორივე კუთხეში საპატიო ყარაული იდგა, შუაში კი ცეცხლის ალი ირხეოდა. გრანიტის ფილებს ორი ქალი წმენდდა ფაქიზად.

სუდჰირმა შიმშილი იგრძნო და სასტუმროს რესტორანში ჩასვლა გადაწყვიტა. მართალია, მოსკოვს მესამედ ეწვია, მაგრამ საქმიანი შეხვედრებით ყოველთვის ისე იღლებოდა, რომ ქალაქი გულიანად ვერასოდეს ვერ დაათვალიერა, სამგზავრო ბილეთის ფულს გადაახურდავებდა თუ არა, მეორე დღეს დელიში — პალამის აეროდრომზე ამოყოფდა თავს.

ნავახშმევს სუდჰირი სასტუმროში დაბრუნდა, თავისი ოთახის ფანჯარას მიადგა და თვალს არ აშორებდა კვარცხლბეკზე მოლივლივე ალს, რომელსაც მზრუნველი მშობელივით დაჰყურებდნენ კრემლის ქონგურები. სასტუმროს რესტორნიდან მხიარული ხმები და მუსიკა მოისმოდა. სუდჰირმა საათს დახედა. თერთმეტი იყო. ქუჩაში ხანდახან თუ ჩაიქროლებდა მანქანა და ტროტუარზე კანტიკუნტად თუ ჩაივლიდა ვინმე აჩქარებული ნაბიჯით.

მეორე დღეს, როგორც ყოველთვის, სუდჰირს დილის ხუთ საათზე გაეღვიძა. ადგა, ხელ-პირი დაიბანა, მერე ფანჯარას მიადგა. კვარცხლბეკზე ისევ ენთო ცეცხლის ალი, მაგრამ ისე აღარ ანათებდა, როგორც ღამის სიბნელეში. ვიღაც ქალმა ალის გვერდით ყვავილების პატარა თაიგული დადო. წამით შეჩერდა, მერე შეტრიალდა და წავიდა. ქალი ჭიშკართან არც კი მისული იყო, რომ კვარცხლბეკზე ახლა ხნიერმა კაცმა მოაბნია ყვავილები, ისიც წამით დადგა თავდახრილი, მერე შებრუნდა და ბაღის ჭიშკრისაკენ გაემართა. სუდჰირი უსაზღვრო ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო. ნეტავი რა ღვთაებრივი ცეცხლი ენთო იმ ბაღში? ვინ იყო ის ქალი, ან ის მამაკაცი, ცეცხლთან ყვავილები რომ მიიტანა?

საათმა დარეკა, საუზმობის დრო დამდგარიყო. სუდჰირი ოთახიდან გავიდა, კარი ჩაკეტა და ბუფეტისაკენ გაემართა. ბუფეტში ჭიქა წვენი დალია, ისაუზმა და ისევ თავის ოთახში დაბრუნდა. მაგიდაზე დაყრილ სამივლინებო ქაღალდებს დახედა. ათი საათი სრულდებოდა. თერთმეტზე კოლეგებს უნდა შეხვედროდა. წინ მთელი საათი ჰქონდა თავისუფალი. სუდჰირმა ისევ ფანჯარაში გაიხედა: კვარცხლბეკთან ახალდაქორწინებული წყვილი და კიდევ რამდენიმე ყმაწვილი მისულიყო. ნუთუ ამ ქვეყანაშიც ცეცხლთან ასრულებენ საქორწილო წესს, ცეცხლთან დებენ ერთგულების ფიცს?

საღამოს ხუთი საათი იყო, როცა სუდჰირი სასტუმროში დაბრუნდა. კრემლის კედელთან გაშლილ ბაღში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. კვარცხლბეკთან წითელყელსახვევიანი და წითელპილოტურიანი მოსწავლეები ჩამწკრივებულიყვნენ. „ნეტავი რას ნიშნავს ყოველივე ეს?“ — გაიფიქრა სუდჰირმა, ვეღარ მოითმინა და ქუჩაში გავიდა. ბაღში შესულმა შეიტყო, რომ კვარცხლბეკთან არავინ არაფერს სწირავდა, თურმე ხალხი ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების წინა დღეს ზეიმობდა.

ცხრა მაისის დილაც გათენდა. ქვეყანა მტერზე გამარჯვების დღის აღსანიშნავ ზეიმს მოეცვა. სუდჰირმა შეიტყო, რომ კვარცხლბეკზე თურმე მარადიული ცეცხლი ენთო. ხალხის მწკრივში ბევრი უცხოელი იდგა. სუდჰირიც სიამაყის გრძნობით ჩადგა ამ მწკრივში. ხალხის ნაკადი არ წყდებოდა. სუდჰირმა ისიც შეიტყო, რომ მარადიული ცეცხლი თურმე ამ ქვეყნის ყველა იმ გმირ ქალაქში ენთო, რომლის მცხოვრებნიც მეორე მსოფლიო ომში მამაცურად დაეცნენ მტერთან ბრძოლაში.

როცა სუდჰირი კვარცხლბეკზე ანთებულ ცეცხლს მიუახლოვდა, წამით შეჩერდა. უცებ ის მარადიული ცეცხლი მოაგონდა, დელიში „ინდოეთის კარიბჭესთან“ რომ ანთია იმ ინდოელთა მოსაგონარად, რომლებიც ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გმირულად დაეცნენ და მილიონობით თანამემამულეთა გულში სამარადისო ხსოვნა დატოვეს. სუდჰირი ოდნავ დაღონდა. როცა ბაღის ჭიშკარს მიაღწია, თვალი მოჰკრა ერთ ყმაწვილს, რომელსაც ხელში პატარა დაფა ეკავა. დაფაზე ეწერა: „პირადი ნომერი 605836, ვასილი ნიკოლაევიჩი, პოლკი № 6“. სუდ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



როცა აკვარიუმს წყლით შევსება სჭირდება, გრუნტი რომ არ შეაშფოთო და ნადგომი წყალი არ აამღვრიო, აკვარიუმში წყლით სავსე ქვაბუნა ჩაუშვი და ის ქვაბუნა მერე ნელ-ნელა გადააპირქვავე.



თუ საბრახნისს ხშირად ხმარობ ან ჯიბით დაგაქვს ხოლმე, კარგი იქნება, თუ მას პირზე რეზინის მილაკს ჩამოაცმევ.



ასე, სულ უბრალოდ, შეგიძლია მოაწყო ექსპრეს-შხაპი.



საპურეში პური კარგად შეინახება, თუ მას ზემოდან ფიცარს დააკრავ (ყველას ჯობს, თუ საპურე მთლიანად ხისაგან არის დამზადებული).



ფოტოსურათები შეგიძლია ელექტროუთოს მეშვეობითაც გააპრიალო. ამისათვის მაგიდაზე დაწყობილ სველ ფოტოსურათებს რაიმე ქსოვილი გადააფარე და მერე დაუთოე.

ჰალსტუხი და ქამარი შეგიძლია ტანსაცმლის საკიდზე სარეცხის სამაგრით ჩამოკიდო.

თუ გინდა, რომ ფოტოხსნარი არ გაცივდეს და საჭირო ტემპერატურა შეინარჩუნოს, ჭურჭელი ელექტროსათბურზე დადგი.



წიგნის ყდა მოუვლელობით მალე იქერცლება და იცრიცება. თუ შემოსაკრავი არა გაქვს, ყდის შიდა მხრიდან სქელი ქაღალდი დააწებე და გარეკანი გაცილებით დიდხანს გაძლებს.





# სარჩევი


**კ. ილურიძე** — მილოცვა . . . . . გარეკ. 2 გვ.
**ნ. აფხაზავა** — გულის კარნახით (ნარკვევი) . . 1
**ლ. ასათიანი** — ჩვენო მამულო, სასიქადულოვ! (ლექსი) . . . . . 3
**ვ. გოგოლაშვილი** — ჭინკების ბრიგადა (მოთხრობა, გაგრძელება) . . . . . 4
ჩვენი სტუმარია მოლდავეთის სსრ საბავშვო ჟურნალი „სკინტეა ლენინისტე“ . . . . . 11
**ი. კუკავა** — იყო ერთი ბიჭი (მოთხრობა) . . . 15
**დ. ივარდავა** — თაკარა მზეში — ჰინდის მიწაზე (ლექსები) . . . . . 18
აისი . . . . . 20
**მ. გელაშვილი** — მთების სიყვარულით ხმობილნი (ნარკვევი) . . . . . 22
**ჰ. კრაუზე** — თეთრი ლობიოს კონსერვი (მოთხრობა) 24
საინტერესო სიახლენი . . . . . 26
**არნ. გეგეჭკორი** — ცოცხალი არქიტექტურის სამყაროში (წერილი) . . . . . 26
**გ. შეთეკაური** — ლექსები . . . . . 27
**მ. ჩაჩუა** — დიდი და კეთილი მზე (მოთხრობა) . 28
**კ. განდი** — დაუვიწყარი ხილვა (მოთხრობა) . . 29
**შ. საბაშვილი** — ზონდი მენახირის ვარსკვლავიდან? (წერილი) . . . . . 30
ჯადოსნური სარკე . . . . . 31
გამოგადგები . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . გარეკ. 3



გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა თემურ ფხიკიძისა.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ ბოცვაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, რობერტ ლარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეწირული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-81-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-58-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 23. 07. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 4. 10. 82 წ., ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_3$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 1848. ტირ. 151.000, ევზ. უე 00757.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат $60 \times 90^1/_3$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 151.000 экз. Цена 20 коп.


© „პიონერი“, 1982 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გეოგრაფიული კროსვორდი

ტარაზულად: 1. ბუნებრივი წყალსაცავი; 3. საქართველოს მინერალური წყალი; 5. ყირგიზეთის სსრ საოლქო ცენტრი; 9. XVIII-XIX სს. გამოჩენილი ქართველი მოგზაური; 12. მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქი; 13. დარიშხანის რის წიწვოვანი ტყეები; 9. მცენარეული საფარი; 10. ტბა აშშ-ში; 11. დუნაის მარცხენა შენაკადი რუმინეთში; 15. დედამიწის ჰარბტენიანი ზედაპირი; 16. მხარე სსრ კავშირში; 17. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მდინარე; 18. მდინა-



საბადო საქართველოში; 14. წყლის დინების ხელოვნური კალაპოტი; 21. ტბა უნგრეთში; 22. ნეპალის დედაქალაქი; 28. კონცხი, აზიის უკიდურესი სამხრეთი წერტილი; 29. საფრანგეთის ნავსადგური; 30. აფრიკული შხამიანი ბუზი; 33. ერთ-ერთი უდიდესი მოქმედი ვულკანი ამერიკის კონტინენტზე; 34. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე; 35. ამიერკავკასიაში გავრცელებული ხილი; 36. სოფელი წალენჯიხის რაიონში.

შვეულად: 2. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი; 4. ქვეყნის ნაწილი; 6. საქართველოს კურორტი; 7. ციმბირე სსრ კავშირსა და ჩინეთში; 19. რაიონული ცენტრი საქართველოში; 20. ქალაქი კოსტრომის ოლქში; 23. წარმოსახვითი ხაზი, რომელიც დედამიწას ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებად ყოფს; 24. უდიდესი ვულკანი ფილიპინებზე; 25. ქალაქი ვიეტნამში; 26. აზიის სახელმწიფოს დედაქალაქი; 27. დედამიწა ძველბერძნულად; 31. აფრიკის სახელმწიფო; 32. დედამიწის რელიეფის სიგრძივი ამოზნექილობა, მთათა სისტემა.

მამუკა კონიაშვილი,
თბილისის 51-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი.

## შარადები

სამლარიანი საკრავი,
რომ გვატკბობს სიმთა ჟღერით,
მცირდება უკანასკნელი
და წინა ხამი ბგერით.
ნაწილობრივი სიბნელის
სახელს დაურთავ ახლა
და იმ ოპტიკურ ხელსაწყოს
შენივე თვალით ნახავ.

წუხის ნაყოფს ადებ
წინა ბგერის გარეშე,
გრამატიკულ კავშირსაც
გაიხსენებ მარდად,
მერე რიგით მეექვსე
მუსიკალურ ბგერას
დასკვნისათვის ბოლოში
დაუმატებ ხელად, —
გრძელნისკარტა ჩიტი,
კარგად იცნობთ ყველა.

ზ. ამირანაშვილი.

## თავსატეხი

თქვენს წინაშეა ერთობმერამში ჩახაზული, სექტორებად დაყოფილი წრეები. სავარჯი



სექტორებში ჩასვით ციფრები 1-დან 25-მდე ისე, რომ არც ერთი ციფრი არ გაიმეოროთ და მოპირდაპირე სექტორებში ჩაწერილ ციფრთა ჯამი 100 უდრიდეს.

## რომელია ზუსტი?

სახელოსნოში ხუთი საათი შეამოწმეს. აღმოჩნდა, რომ № 3 საათი № 2 საათს დღე-ღამის განმავლობაში სამი წუთით ჩამორჩება, № 2 საათი ერთ წუთით უსწრებს № 1-ს, № 4 ერთი წუთით ჩამორჩება № 3 საათს, № 5 კი —



№ 1-ს. თუ ხუთივე საათის მაჩვენებლებს შევკრებთ და ჯამს 5-ზე გავყოფთ, მივიღებთ ზუსტ დროს.

ცნობილია, რომ საათთაგან ერთ-ერთი ზუსტ დროს უჩვენებს. საზელდობრ რომელი?

## აბა სცადეთ!



აქ მოცემული სწორკუთხედი გაყავით ორ თანაბარ ნაწილად ისე, რომ თითო ნაწილში თითო რგოლი მოხვდეს.

## გამოცანა

მიწაზე სწრაფად დაცურავს.
წყალში დაახრჩობს ფონი.
ნიანგის ნათესავია.
ბიძაშვილია მგონი.

ნ. მარიხია

## პასუხი № 8-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

### კროსვორდი

ტარაზულად: 2. მიკრობი; 4. აკაცია; 5. ანკარა; 8. კრაბი; 9. ემალი; 10. ნიტრი; 14. ირემი; 15. პალმა; 19. არმია; 20. პაიკი; 21. არენა; 24. ამპერი; 25. „ივერია"; 27. ამპერია.

შვეულად: 1. ნარი; 2. მიცვა; 3. „ისკრა"; 4. ანტალა; 6. ავრორა; 7. ლიანა; 8. კაროტელია; 11. იამაიკა; 12. ათენა; 13. კალია; 16. კომეტა; 17. მაისი; 18. შვეცია; 22. კიევი; 23. ამება; 26. გედი.



## ბერი წიფელი

შენ, ჩემო ბერო წიფელო,
აყროყრებულო ლამაზად,
მთა-ბარად მოხეტიალეს
შემომეფეთე ანაზდად;
წინაპარს ჩემსას გადარე,
შენსავით მხარ-მკლავ-ტანასა;

თავზე ცის ქუდი გახურავს,
ფერხთით ყვავილი ქანავსა;
შვილები, ახალუხლები,
რიდით გეტყვიან სალამსა;
ვინ იცის, რამდენს აპურებ,
მშიერს უბოძებ ძალასა;

შენს დამბადებელ მიწა-წყალს
სიკეთით უხდი ლალასა;
ალბათ ვერც დელგმა გაშინებს,
ვერც მეხის ჭექა გზარავსა;
კაცი მგონიხარ კაცური,
ვენაცვლე შენისთანასა!

ფოტო ზ. დათუაშვილისა

ს. შამფრიანი